პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 252 (10028)

შაბათი, 23 ოქტომბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

პარტიულ თემაზე. — პ. გილაშვილი. — პარტიის საქალაქო კომიტეტი და ახალმშენებლობანი (მე-2 გვერდი).

გავაძლიეროთ იდეოლოგიური მუშაობა ახალგაზრდობაში (მე-2 გვერდი).

გამოცდილების ტრიბუნა. — კ. კალანდაძე. — როგორ მოიყვანეს ხორბლის უხვი მოსავალი (მე-2 გვერდი).

წერილები რედაქციას. — ე. გულედანი. — გაეფრთხილდეთ ტყეს. ვ. ძნელაძე. — თავაშვებული მძღოლები და მილიციის უდარდელი მუშაკები (მე-3 გვერდი).

კ. პარხონი. — ურღვევი მეგობრობა (ლექსი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომიტეტის მეცხრე სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

თბილისი. — ქალაქის ქრონიკა (მე-4 გვერდი).

მასებთან კავშირი ჩვენი ძლიერების წყაროა

სწორი ხელმძღვანელობისათვის, — გვასწავლის კომუნისტური პარტია, აუცილებელია ხელმძღვანელთა გამოცდილება შევავსოთ პარტიული მასების, მუშათა კლასის, მშრომელთა გამოცდილებით, ეგრეთწოდებულ „პატარა ადამიანთა“ გამოცდილებით. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელები მჭიდროდ არიან დაკავშირებული მასებთან, ყოველდღიურად ზრუნავენ ამ კავშირის შემდგომი გაფართოებისათვის.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყველა იმ ღონისძიების განხორციელებას, რომელიც მიმართულია სოციალისტური სამშობლოს პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისა და მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლებისაკენ, უზრუნველყოფს სწორი ხელმძღვანელობა და საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი აქტივობა.

თავის მოღვაწეობაში ეყრდნობა რა მასებს, კომუნისტური პარტია ყოველთვის მიგვითითებს მშრომელებთან კავშირის შემდგომი განმტკიცების აუცილებლობაზე. პარტია გვასწავლის ყოველთვის გულისხმიერი ვიყოთ მასების მოთხოვნილებებისა და საჭიროებისადმი, ყურს ვუგდებდეთ მასების ხმას. პარტია ყოველთვის ახორციელებდა და ახორციელებს ღონისძიებებს მასების პრაქტიკულ საქმიანობასთან პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მოღვაწეობის მისაახლოებლად.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების სტრუქტურის გარდაქმნა, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადწყვეტილების საფუძველზე განხორციელდა, ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ისახავს მასებთან შემდგომ მიახლოებას.

ბევრი ადგილობრივი საბჭოთა ორგანოს ხელმძღვანელებმა სწორად გაიგეს ამ გარდაქმნის შინაარსი, შეამცირეს სხდომებისა და თათბირების რიცხვი, გააძლიერეს ცოცხალი, კონკრეტული კავშირი მშრომელებთან. ახლა ისინი უფრო ხშირად მიდიან საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, საუბრობენ რიგით ადამიანებთან, სწავლობენ და ნუშაობაში ითვალისწინებენ მათს წინადადებებსა და მოთხოვნებს. მასებთან კავშირის გაძლიერება ეხმარება მათ უკეთესად გადწყვიტონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკული ამოცანები.

მიუხედავად ამისა, ბევრ ხელმძღვანელ საბჭოთა მუშაკს ბოლომდე არა აქვს შეგნებული მშრომელთა ფართო მასებთან მჭიდრო კავშირისა და ყოველდღიური ურთიერთობის გადამწყვეტი მნიშვნელობა. ისინი ისევ ძველი მეთოდებით მუშაობენ: იწვევენ უამრავ სხდომებსა და თათბირებს, გამოაქვთ ურიცხვი დადგენილებანი, ცოცხალ, კონკრეტულ ხელმძღვანელობასა და კავშირს ქაღალდებით ცვლიან. ცხადია, ასეთ ხელმძღვანელობას არსებითად საქმისათვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ნაგალითად, ერთი წლის მანძილზე ქ. თბილისის გარეუბნის რაისაბჭოს აღმასკომმა 1.600-მდე გადაწყვეტილება მიიღო. ძნელი დასაჯერებელია, რომ გარეუბნის რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკებს დარჩენოდათ დრო კოლმეურნეებთან და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებთან ცოცხალი კავშირისათვის, მათთან მუშაობისათვის. გასაკვირველი არ არის, რომ რაიონის კოლმეურნეობებში დაბალია შრომის დისციპლინა, ბევრმა კოლმეურნემ ვერ გამოიმუშავა შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი, რაიონი ჩამორჩება პირუტყვის საკვების დამზადებაში, ბოსტნეულის დამზადების გეგმის შესრულებაში. გარეუბნის რაისაბჭოს აღმასკომი ამ მხრივ გამონაკლისი როდია.

ხელმძღვანელი საბჭოთა მუშაკების პირველი რიგის ამოცანაა ადამიანებთან ყოველდღიური მუშაობა, მათი აღზრდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, მასების წიაღში წარმოშობილი ყოველივე ახლისათვის მხარისდაჭერა და წახალისება. ამ ამოცანას ისინი კაბინეტებში ჯდომითა და რაიონის ან სოფლის ცენტრში ტრიალით ვერ გადაწყვეტენ. ამისათვის აუცილებელია მშრომელთა შორის ხშირად ყოფნა, მათთან გულითადი საუბარი, მათი წინადადებებისა და შენიშვნების მოსმენა და პრაქტიკულ მუშაობაში გათვალისწინება.

მშრომელები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი თავიანთი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების განტკიცებით. ეს თავის გამოხატულებას პოულობს მასების შემოქმედებითს საქმიანობაში, მათს წინადადებებსა და სიგნალებში, რომლებსაც მშრომელთა წერილების სახით მრავლად იღებენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციები. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ხშირად რიგითი ადამიანები უფრო ადრე ამჩნევენ ადგილებზე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ნაკლოვანებებს, ვიდრე ხელმძღვანელი მუშაკები. მშრომელთა წერილებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, საჩივრებსა და სიგნალებზე დროული გამოხმაურება ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და მასებთან კავშირის განმტკიცების მნიშვნელოვანი პირობაა. სამწუხაროდ, მშრომელთა წერილებს ყველგან როდი ეკიდებიან სათანადო პასუხისმგებლობით.

წყალტუბოს რაისაბჭოს აღმასკომში და რაიონის სასოფლო საბჭოებში მშრომელთა მრავალი წერილი შედის. ამ წერილების დიდი ნაწილი პირუტყვის გამოზამთრების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს ეხება. არც რაისაბჭოს აღმასკომი და არც სასოფლო საბჭოების აღმასკომები დროულად არ ეხმაურებიან ამ სიგნალებს. ეს იმას იწვევს, რომ ნაკლოვანებანი პირუტყვის გამოზამთრების საქმეში კვლავ გრძელდება, გვიანდება სადგომების მშენებლობა და სხვ. ამასთან მშრომელებს ხალისი ეკარგებათ შემდგომში დროულად ამხილონ შემჩნეული ნაკლოვანებანი. მშრომელთა სიგნალები თვეობით უყურადღებოდ დგას ლენინგორის რაიონის ზაყორის სასოფლო საბჭოშიც (თავმჯდომარე ე. მარგიევი).

მასებთან საბჭოების კავშირის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დეპუტატების შეხვედრებს ამომრჩევლებთან, საბჭოების მუდმივი კომისიების გამართულ მუშაობას. მაგრამ ამას ყველგან როდი ექცევა ყურადღება. ზოგიერთი დეპუტატი თვეობით არ ხვდება თავის ამომრჩევლებს, მთელი რიგი მუდმივი კომისიების მუშაობა ჩამკვდარია. მაგალითად, ამომრჩევლებს არ ხვდებიან ცხაკაიას რაიონის ნაქალაქევის სასოფლო საბჭოს დეპუტატები, მათ არც ამომრჩეველთა განაწესი აქვთ. კასპის რაიონის ბეტეხისა და ახალქალაქის სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიები ფორმალურად არსებობენ, არავითარ გავლენას არ ახდენენ სოფლის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაზე. სასოფლო საბჭოები თავიანთ მუშაობაში არ ეყრდნობიან აქტივს, სუსტად მუშაობენ სოფლის მშრომელებთან, არ ზრუნავენ კოლმეურნეთა აღზრდისათვის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს დიდი სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ მასებთან კავშირი ჩვენი ძალისა და ძლიერების წყაროა. ამ კავშირის ძალა და ცხოველმყოფელობა დადასტურებულია კომუნისტური მშენებლობის ყოველდღიური პრაქტიკით. ამიტომ მასებთან კავშირის შემდგომი განმტკიცება ადგილობრივი საბჭოების, თვითეული ხელმძღვანელი საბჭოთა მუშაკის სისტემატური ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს.

ადგილობრივი საბჭოების, ხელმძღვანელი საბჭოთა მუშაკების ამოცანაა გადაჭრით გააძლიერონ ცოცხალი, უშუალო კავშირი და ურთიერთობა მშრომელებთან. მათ კარგად უნდა გაითვალისწინონ, რომ სწორი ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლების, მათი შემოქმედებითი ძალების განვითარებისათვის სისტემატური მუშაობა. ადგილობრივი საბჭოები, მათი ხელმძღვანელები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ და განავითარონ მასების სასარგებლო ინიციატივა, წაახალისონ ყოველივე ახალი, პროგრესული, რაც მასების შემოქმედებითი საქმიანობის პროცესში წარმოიშობა.

ნაკლები სხდომები და თათბირები, ნაკლები „ხელმძღვანელობა“ ქაღალდებით, ყოველდღიური ცოცხალი, უშუალო კავშირი მშრომელებთან — ეს არის კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე ახალ წარმატებათა მოპოვების უტყუარი პირობა.

გეგმის გადამეტებით მოხნულია 140 ათასი ჰექტარი ახალი მიწები

ნოვოსიბირსკი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გეგმის გადამეტებით მოხნეს 140 ათასი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები.

ამჟამად მოხნული 630 ათასი ჰექტარი მიწიდან 246 ათასი ჰექტარი გაზაფხულზე დაითესა. ამ მიწებზე აღებულია 20 მილიონი ფუთი საგაზაფხულო ხორბალი.

ყამირი მიწების ხვნა გრძელდება.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★ ★

გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებმა საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა შეასრულეს

გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებმა 20 ოქტომბრისათვის 102,4 პროცენტით შეასრულეს საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის გეგმა. დათესილია 9.018 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.800 ჰექტარისა. აქედან ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვის გეგმა შესრულებულია 166,5 პროცენტით.

საშემოდგომო კულტურების თესვა გრძელდება.

ყურძნის ჩაბარების სახელმწიფო გეგმის შესრულება

ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 22 ოქტომბრისათვის ყურძნის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა 100,6 პროცენტით შეასრულეს.

სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარება გრძელდება.

თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა კარტოფილის ჩაბარების გეგმა შეასრულეს

თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა 20 ოქტომბრისათვის 102,1 პროცენტით შეასრულეს კარტოფილის ჩაბარების წლიური გეგმა. ჩაბარებულია 1.390 ტონა კარტოფილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.360 ტონისა.

სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარება გრძელდება.

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის 21 ოქტომბრის ცნობებით

რაიონები	წიფური გეგმის შესრულება პროცენტობით		რაიონები	წიფური გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმის	106,8		სამტრედიის	68,7
ქობულეთის	100,3		წულუკიძის	81,0
ქედის	132,5		ქუთაისის	76,3
სულ აჭარაში	**101,9**		წყალტუბოს	101,9
გალის	97,1		ტყიბულის	75,7
ოჩამჩირის	97,7		ცხაკაიას	80,7
გულრიფშის	100,0		აბაშის	72,6
სოხუმის	94,4		გეგეჭკორის	88,6
გუდაუთის	99,0		ზუგდიდის	95,3
სულ აფხაზეთში	**97,5**		წალენჯიხის	102,7
მახარაძის	97,2		ჩხოროწყუს	94,6
ჩოხატაურის	90,8		ხობის	80,8
ლანჩხუთის	98,7		თერჯოლის	53,9
სულ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში			ზესტაფონის	74,3
			სულ	**95,6**

შენიშვნა: მახარაძისა და ქუთაისის რაიონების ცნობები არასრულია.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ფძვილი გეგმის გადამეტებით

თბილისის მეექვსე წისქვილ-ქარხნის საამქროებში გაკრული პლაკატები მუშებს აცნობენ ქარხნის კოლექტივის საოქტომბრო ვალდებულებებს და მოუწოდებენ მაღალნაყოფიერი შრომისაკენ. იქვე საწარმოო მაჩვენებლების დაფებზე აღნიშნულია გაწეული მუშაობის საამაყო შედეგები. ყურადღებას იპყრობს პარტიის წევრობის კანდიდატის ი. გოგოლაძის ბრიგადა. 116-117 პროცენტი, — ასეთია ამ ბრიგადის ყოველდღიური შრომის ნაყოფი. საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ აგრეთვე მ. დარბინიანისა და პ. სამოდუროვის ბრიგადები.

მუშათა საწარმოო აქტივობას უნარიანად ჩაუდგა სათავეში წისქვილ-ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც უზრუნველყო საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაჩაღება. მუშები სტახანოვური ვახტზე დგანან და იბრძვიან, რათა თვის ბოლომდე 10 თვის გეგმის გადამეტებით გამოუშვან 2.160 ტონა მაღალხარისხოვანი ფქვილი. ოქტომბრის მეორე ნახევარში დაწინაურდნენ ხორბლის გამწმენდი ა. რიბაჩკოვი და მფქველები დ. ბუტიკაშვილი და რ. კახიანენკო.

ავტომობილმშენებელ ლითონმასხმელთა წარმატება

დიდი დღესასწაულის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო შრომითი წარმატებები მოიპოვა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ლითონმასხმელო საამქროს კოლექტივმა.

სექტემბერში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის ლითონმასხმელებს გადაეცათ ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმა შესრულებულია 109 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა — 10 პროცენტის გადაჭარბებით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 9 პროცენტით. მნიშვნელოვნად იკლო წუნმა.

ლითონმასხმელებმა ერთ თვეში გასწიეს 150 ათასი მანეთის ეკონომია. გარდა ამისა, საგრძნობი რაოდენობით დაზოგეს ელექტროენერგია, სათბობი და სხვა მასალები.

ეს შედეგები მოპოვებულია ტექნოლოგიური პროცესის ზუსტი დაცვით, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, მოწყობილობათა მაქსიმალური გამოყენებით, წარმოებაში ახალ რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით.

ა. ბერუჩიევი,
საამქროს ინჟინერი.

მძიმე წონის მატარებლებით

სამტრედია. (საკ. კორ.). სამტრედიელი მეორთქლმავლელები, მევაგონეები, მელიანდაგეები, კავშირგაბმულობის დისტანციისა და მოძრაობის დარგის მუშაკები სამაგალითო მაჩვენებლებით ეგებებიან დიად დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს. მძიმე წონის მატარებელთა ტარების ოსტატებმა ვ. ლეკვეიშვილმა, ი. ჩიტიამ, ა. ჭანჭალიეშვილმა, პ. ქანთარიამ და შ. ბერაიამ ნორმის გადამეტებით უკვე გადაზიდეს თვითეულმა მრავალი ათასი ტონა სახელმწიფო ტვირთი. სულ სამტრედიელ მემანქანეებს მარტო სექტემბერში ნორმის გადამეტებით გადაზიდული აქვთ ნახევარმილიონზე მეტი ტონა ტვირთი. ოქტომბრის პირველ დეკადაში მემანქანე კ. დვალიშვილმა ნორმის გადამეტებით გადაზიდა 788 ტონა, ნ. პაპავამ — 850 ტონა, ს. გიორგაიამ — 672, ზ. გელეიშვილმა — 900 ტონა, ხოლო შ. ბერაიამ 950 ტონა სახელმწიფო ტვირთი.

მექანიზატორთა საჩუქარი

თბილისის გარეუბნის დიდმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივი ახალი საწარმოო მაჩვენებლებით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის მოახლოებას. მანქანების სრულყოფილად გამოყენების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის შეუნელებელი ბრძოლის შედეგად მექანიზატორებმა შეასრულეს საშემოდგომო თესვის გეგმა, დათესეს 2.000 ჰექტარი.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მესამე სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი მ. კოტორიშვილი), რომელმაც სოფელ გლდანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში საშემოდგომოდ დათესა 490 ჰექტარი ხორბალი, გეგმა კი 420 ჰექტარს ითვალისწინებდა. ტრაქტორისტები ნ. ხუციშვილი და ვ. კალაჩოვი ახლა გეგმის გადამეტებით თესავენ.

ასევე ნაყოფიერად მუშაობს და საშემოდგომოდ გეგმის გადამეტებით თესავს სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც გ. ბერიტაშვილი ხელმძღვანელობს.

აგარის მტს-მა საშემოდგომო ხვნის გეგმა შეასრულა

აგარის მტს-მა 20 ოქტომბრისათვის შეასრულა 1954 წლის სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა. მოხნულია 32.053 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30.800 ჰექტარისა. დათესილია 4.222 ჰექტარი თავთავიანი კულტურები ნაცვლად 4.060 ჰექტარისა. დამატებით დაითესება 188 ჰექტარი შაქრის ჭარხლის ნათესებიდან განთავისუფლებულ ფართობებზე.

მტს-ის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოხნას 300 ჰექტარი.

სატრაქტორო სამუშაოთა აგროტექნიკური წესების დაცვით გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი იმ სატრაქტორო ბრიგადებმა, რომლებსაც ე. ტიტვინიძე, ო. კაკოელაშვილი, ა. გუგელაშვილი, ე. ხუციშვილი და გ. კობერიძე ხელმძღვანელობენ.

შინდისის მტს-მა საშემოდგომო თესვის გეგმა შეასრულა

გორის რაიონის შინდისის მტს-მა თავისი მომსახურების კოლმეურნეობებში საშემოდგომო თესვის გეგმა 20 ოქტომბრისათვის 100,4 პროცენტით შეასრულა, ხოლო სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა — 104 პროცენტით.

მტს-ის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის აღსანიშნავად გეგმის გადამეტებით მოხნას 1.000 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაყვანით.

დიდი მოგება

გორი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ლულელმა კოლმეურნემ დავით ფილიპემ გორის ცენტრალურ შეძახველ სალარაში წარადგინა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხის 200-მანეთიანი ობლიგაცია, რომელსაც ხედა 50.200 მანეთი მოგება.

წელს გორის ცენტრალურმა შეძნახველმა სალარომ რამდენიმე დიდი მოგება გასცა. განაღდებულია ორი 25-ათასიანი მოგება, ოთხი 10-ათასიანი და თორმეტი 5-ათასიანი მოგება.

ნაზიმ ჰიქმეთი მოსკოვს გაემგზავრა

საქართველოს დედაქალაქ თბილისში რამდენიმე დღეს იყო სტუმრად გამოჩენილი თურქი პოეტი, მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი ნაზიმ ჰიქმეთი.

თბილისში ყოფნის დროს ნაზიმ ჰიქმეთი გაეცნო ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, დაესწრო ამიერკავკასიის რესპუბლიკების — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მწერალთა შემოქმედებითს შეხვედრას, ნახა თავისი პიესის „ლეგენდა სიყვარულზე“ დადგმა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, დაათვალიერა საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი და ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, იყო ქალაქ მცხეთაში, ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში სიფურამში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში და ესტუმრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტებს.

21 ოქტომბერს ნაზიმ ჰიქმეთი მოსკოვს გაემგზავრა. (საკდესი).

დაიწყო მანდარინის კრეფა

ბათუმი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). მახინჯაურის სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობის ციტრუსოვანთა პლანტაციებში დაიწყო მანდარინის შერჩევით კრეფა. გუშინ დღის ბოლოს საბჭოთა მეურნეობამ 20 ათასი საუკეთესო მანდარინი ჩაბარა დამამზადებელ პუნქტს. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა გალდებულება იკისრა თვის დამლევამდე 200 ათასი ცალი მანდარინი მოკრიფოს.

თბილი მზიანი დღეების გამო დაჩქარდა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამწიფება. ხშირ მწვანე ხეებში სულ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ნარინჯისფერი დამწიფებული მანდარინი.

უახლოეს დღეებში მოსავლის აღება დაიწყება ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ქართველი მეციტრუსეები მანდარინის პირველ მოსავალს ოქტომბრის დღესასწაულებისათვის უგზავნიან მოსკოვს, ლენინგრადს და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრებს.

ყურძენი, ვაშლი, მსხალი საშვიდნოემბროდ



ყურძნისა და ხილის უხვ მოსავალს იღებს წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მუშაკთა კოლექტივი. ავტომობილთა ქარავნებს ყოველდღე ათობით ტონა ვაშლი, მსხალი და ყურძენი მოაქვთ დედაქალაქის სავაჭრო ქსელში.

ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 220 ტონა ვაშლისა და მსხლისა, მეურნეობაში წელს მოელიან სულ ცოტა 700 ტონა ვაშლს და საგვიანო მსხალს. ყურძნის მოსავალი ჰექტარზე 80 ცენტნერზე ნაკლები არც ერთ ნაკვეთზე არ არის. მეურნეობის მუშაკებს გადწყვეტილი აქვთ რთველი და ხილის კრეფა ძირითადად დაამთავრონ ოქტომბერში და თბილისელ მშრომელებს საშვიდნოემბროდ მიაწოდონ მრავალი ტონა ვაშლი, საგვიანო მსხალი და ყურძენი.

სურათებზე: აგრონომი ეკატერინა კირილე ყურაშვილი და მკრეფავი გულნარა პაპუაშვილი მოკრეფილ ვაშლს თბილისში გასაგზავნად ყუთებში აწყობენ; ყურძნის სასწორთან წინა პლანზე — მოწინავე მკრეფავი მარიამ ნარიმანიძე.

ფოტო ვ. ზარიძისა.

გავაძლიეროთ იდეოლოგიური მუშაობა ახალგაზრდობაში

კომკავშირის თბილისის საქალაქო აქტივის კრებაზე

შედგა კომკავშირის თბილისის საქალაქო აქტივის კრება, რომელმაც განიხილა ახალგაზრდობაში ხულიგნობის გამოვლინებათა წინააღმდეგ ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესების საკითხი.

მომხსენებელმა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. ვ. კაჭარავამ და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა — კომკავშირის 26 კომისრის რაიკომის მდივანმა ზ. კახნოვმა, კომკავშირის სტალინის რაიკომის მდივანმა გ. ქუთათელაძემ, ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსმა გ. მანჯგალაძემ, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გ. მიქაძემ და სხვებმა დაწვრილებით ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ჩვენი ახალგაზრდობის — დიდი უმრავლესობა პატიოსნად და კეთილსინდისიერად შრომობს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა უბანზე, გვიჩვენებს ნიმუშებს სწავლაში, პირად ცხოვრებაში. ამავე დროს, აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ გვხვდებიან ახალგაზრდები, რომლებიც ვერ განთავისუფლებულან კაპიტალიზმის მავნე გადმონაშთებისაგან — ლოთობენ, ხულიგნობენ, რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობენ. ამ მანკიერების წინააღმდეგ კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტები სერიოზულ მუშაობას ეწევიან. უწინარეს ყოვლისა გაუმჯობესდა ლექციების თემატიკა, იგი შეივსო სამეცნიერო-ათეისტური თემებით, მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდისა და სხვა საკითხებით. სისტემატურად ეწყობა ფართო მასშტაბის კულტურული ღონისძიებანი, როგორიც არის, მაგალითად, მასობრივი სეირნობანი, ახალგაზრდობის საღამოები, ტურისტული ლაშქრობანი, შეხვედრები მწერლებთან, ხელოვნების მუშაკებთან, სპორტული შეჯიბრებანი და სხვ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის ინიციატივით ჩამოყალიბდა კულტმუშაკთა კურსები, სადაც 60 ახალგაზრდა მეცადინეობს.

ხულიგნობის გამოვლინებასთან ბრძოლის ერთ-ერთ სერიოზულ ღონისძიებას წარმოადგენს კომკავშირის საინიციატივო ჯგუფების შექმნა რაიკომებთან. ეს ჯგუფები სერიოზულ დახმარებას უწევენ მილიციის ორგანოებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, სპეკულაციისა და სხვა მავნე ჩვეულების აღკვეთაში. კარგად მუშაობს კომკავშირის კიროვის რაიკომთან არსებული საინიციატივო ჯგუფი. იგი სისტემატურად ეხმარება მილიციის ორგანოებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.

მაგრამ, როგორც აქტივზე აღინიშნა, კაპიტალიზმის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ გაწეული მუშაობა სრულიადაც არ არის საკმარისი. კომკავშირის მუშაკები მოვალენი არიან ებრძოლონ უსაქმურობის ყოველგვარ გამოვლინებას, ფიზიკური შრომისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ფაქტებს, სისტემატური აღმზრდელობითი მუშაობა აწარმოონ მოსწავლე და მუშა ახალგაზრდობაში. ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის ამოცანები კომკავშირული ორგანიზაციებისგან მოითხოვს მთელი იდეოლოგიური მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას, მის დაკავშირებას ცხოვრებასთან, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკასთან. კომკავშირი მოწოდებულია აღზარდოს ჩვენი პარტიის დიადი საქმის ერთგული ახალგაზრდობა, გამოუმუშაოს მას სამჭოთა ადამიანის ძვირფასი თვისებები — შრომისადმი სიყვარული, ჩვენი საქმის გამარჯვების ნათელი რწმენა, ყოველი დაბრკოლების გადალახვის უნარი, პატიოსნება, მაღალი კულტურა.

აქტივზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. თ. ჯანელიძე.

აქტივის კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში ფართოდ არის გაჩაღებული საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა მრთველმა ნადია ძაგოევამ. იგი ყოველდღიურ დავალებებს 133,1 პროცენტით ანაღდებს. მის მიერ დამზადებული ნართის 98,4 პროცენტი საუკეთესო ხარისხისაა. სურათზე: ნ. ძაგოევა (მარცხნივ) სართავ დაზგაზე მუშაობას ასწავლის წარმოებაში ახალმოსულ მუშას ტ. წიკლაურს.

ფოტო შ. გოქაძისა.

ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები

რეხპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში დაიწყო საშუალო სიმძლავრის ავეჯის ფაბრიკების შენებლობა და არსებული ფაბრიკების რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები. ავეჯის ახალი ფაბრიკები შენდება ზუგდიდში, ამბროლაურში, ახალციხესა და ბოლნისში, ცხაკაიაში, კასპში, ხოლო არსებული ფაბრიკები გაფართოვდება სტალინირში, გორში, ხაშურში, თელავში, ცაგერში, გეგეჭკორში.

ავეჯის ფაბრიკები ადგილობრივი მასალით დაამზადებენ სხვადასხვა სახის ავეჯს — ბუფეტებს, ტანსაცმლისა და წიგნის კარადებს, სასადილო მაგიდებს, საწოლებს.

• • •

წვრილი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების დასამზადებლად და შესაკეთებლად რესპუბლიკის რაიონებში შენდება მექანიკური სახელოსნოები, რომლებშიც მოთავსდება სამჭედლო და საზეინკლო განყოფილებები. წელს ასეთი სახელოსნოების აგება გათვალისწინებულია გორსა და ცხაკაიაში, ფოთში, ქუთაისში, გურჯაანში, სულ რესპუბლიკის 12 რაიონში.

სახელოსნოები, გარდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთებისა, მომსახურებას გაუწევენ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს, დაამზადებენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, ბარებს, თოხებს, ნაჯახებს, ცელებს, ნალებს, სპეციალურ ლურსმნებს,. აგრეთვე ზოგიერთ სათადარიგო ნაწილს.

• • •

საშენი მასალების გამოშვების გადიდებასთან დაკავშირებით ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო „საქსახპროექტში“ შემუშავებული ტიპური პროექტით აშენებს აგურ-კრამიტის ქარხნებს მცხეთაში, გორში, საგარეჯოში, სამტრედიაში, წულუკიძეში და სხვ. აგურ-კრამიტის ქარხნები იმუშავებენ ადგილობრივი ნედლეულით. ქარხნები ნაწილობრივ მექანიზებული იქნება.

გამოცდილების ტრიბუნა

როგორ მოიყვანეს ხორბლის უხვი მოსავალი

კოლმეურნეთა, მექანიზატორთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა თავდადებული შრომის შედეგად წელს ჩვენი რესპუბლიკის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და მემინდვრეობის ბრიგადებმა საშემოდგომო ხორბლის უხვი მოსავალი მოიყვანეს.

ყითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ნ. ყოჩიაშვილი) 2.500 ჰექტარი ურწყავი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 22,7 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი მოიყვანა, გეგმა კი 18 ცენტნერს ითვალისწინებდა. მემინდვრეობის მეორე ბრიგადამ, რომელსაც შ. ღვინიაშვილი ხელმძღვანელობს, მოსავლელად მიჩენილი 590 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 24,6 ცენტნერი ხორბალი მოიყვანა, ხოლო 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 32,7 ცენტნერი. მ. ლეკაშვილის ბრიგადამ 117 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 30,7 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი მიიღო.

იზრდება კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა შემოსავალი. კოლმეურნეებმა შრომადღეზე ავანსად 8 კილოგრამი ხორბალი მიიღეს. ბევრია ისეთი ოჯახი, რომელსაც ავანსად 8-10 ტონა ხორბალი ერგო. მაგალითად, კოლმეურნე ი. პაპაშვილის ოჯახმა მარტო ავანსად 7.240 კილოგრამი ხორბალი მიიღო, კოლმეურნე დ. ლუკაშვილის ოჯახს 10.103 კილოგრამი ხორბალი ერგო.

ხორბლის მოსავლიანობის გადაჭარბებით შესრულებისათვის წინასწარი მონაცემებით გათვალისწინებულია კოლმეურნეებზე გაიცეს შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით 5.185 ცენტნერი ხორბალი, აქედან მარტო პირველი ბრიგადის კოლმეურნეებზე — 1.290 ცენტნერი.

როგორ მოიყვანეს საშემოდგომო ხორბლის უხვი მოსავალი? უწინარეს ყოვლისა მოწინავე აგროტექნიკური ხერხების გამოყენებისა და შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად.

შემოდგომის ხორბლის მაღალი მოსავლის საწინდარია ნიადაგის დროულად მომზადება და აგროტექნიკურ ვადებში დათესვა. ეს კარგად გაითვალისწინეს აქაურმა კოლმეურნეებმა. ნაწვერალზე ეთესა 1.405 ჰექტარი, ანეულზე — 117 ჰექტარი და სათოხნი კულტურების (სიმინდი და მზესუმზირა) შემდეგ 978 ჰექტარი.

ნიადაგის მოხვნის საუკეთესო ვადების დადგენა და დაცვა ეფექტური ღონისძიებაა ნაწვერალის მოსამზადებლად. მოხვნიდან თესვამდე საჭიროა გარკვეული დრო, რათა ნიადაგი კარგად „მომწიფდეს“ და დასათესად მომზადდეს. ნაწვერალი ისე უნდა დამუშავდეს, რომ რაც შეიძლება მეტი დრო დარჩეს მისი მოხვნიდან თესვამდე. ეს საჭიროა აგრეთვე სარეველა მცენარეებთან ბრძოლისა და ნიადაგში ტენის დაგროვებისათვის. ამიტომ ნაწვერალის დამუშავება რაც შეიძლება ადრე, მოსავლის აღებისთანავე უნდა წარმოებდეს. ამ ღონისძიებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შირაქის ურწყავი და გვალვიანი ნიადაგებისათვის. ადრე მოხნულ ნაწვერალში ტენისა და საკვები ნივთიერების დაგროვება უკეთ მიმდინარეობს, იქმნება პირობა თესვის უკეთესი ორგანიზაციისათვის, მიღწეული იქნება თანაბარი აღმოცენება.

მოწინავენი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ ნაწვერალის ამ წესით დამუშავების უპირატესობაში. ამიტომ მოსავლის აღებასთან ერთად წინასახნისიანი გუთნებით ახდენდნენ ნაწვერალის ღრმად ხვნას 22-23 სანტიმეტრ სიღრმეზე. ნიადაგში არსებული ტენის შენარჩუნების მიზნით, ხვნის პარალელურად, ერთი აგრეგატით აწარმოებდნენ ხნულის ფარცხვას. სარეველების მოსპობის მიზნით თესვამდე ორჯერ მოაწყეს ხნულის კულტივაცია, ხოლო ნიადაგში ტენის შესანარჩუნებლად კულტივაციასთან ერთად ნიადაგიც დაფარცხეს. გასულ წელს 1.405 ჰექტარი ნაწვერალის ძირითადი ხვნა კოლმეურნეობამ 10 ივლისიდან 1 აგვისტომდე დაამთავრა, ძირითადი ხვნის წინ თვითეულ ჰექტარზე 250-300 კილოგრამი სუპერფოსფატი, 150-200 კილოგრამი სულფატამონიუმი და 90-100 კილოგრამი კალიუმის მარილი შეიტანა. ნიადაგში შეტანის წინ სასუქები კარგად აურიეს ერთმანეთში და თანაბრად გაანაწილეს ნიადაგის ზედაპირზე.

სათოხნი კულტურებიდან განთავისუფლებული ნაკვეთები თავის დროზე დათესეს. ძირითადი ხვნის წინ თვითეულ ჰექტარზე მინერალური სასუქები იმავე რაოდენობით შეიტანეს, როგორც ნაწვერალზე. ძირითადი ხვნა 23-24 სანტიმეტრ სიღრმეზე ჩაატარეს წინასახნისიანი გუთნებით, გაფხვიერებისა და ტენის შენარჩუნების მიზნით ნიადაგი დაფარცხეს.

ადგილობრივ პირობებთან შეგუებული მაღალმოსავლიანი ჯიშების შერჩევას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის გადიდებისათვის. წითელწყაროელმა კოლმეურნეებმა დათესეს ეკონომიურად ფუტკრებისგან მაღალმოსავლიანი ნათესლიანი ხორბლის ჯიშები „ნოვოუკრაინკა“ და „კოოპერატორკა“. კოლმეურნეთა დაკვირვებით, ეს ჯიშები ჩაწოლის მიმართ უფრო მეტი ძლტანობით ხასიათდებიან ქართულ კლასიკურ ჯიშ „თეთრ დოლთან“ შედარებით.

შირაქის მინდვრებში ხორბლის თესვის საუკეთესო ვადა ოქტომბერია. ამიტომ გასულ წელს შემოდგომის თესვა აქ ძირითადად ოქტომბერში დაამთავრეს და შედეგიც კარგი მიიღეს.

შარშან შემოდგომის ხორბლის ნათესის 62 პროცენტი ჯვარედინად დათესეს. ამ წესით ნათესის თვითეულ ჰექტარზე სამუალოდ 5-6 ცენტნერით მეტი მოსავალი მიიღეს, ვიდრე ჩვეულებრივი მწკრივად ნათესებიდან.

თბილმა და ტენიანმა შემოდგომამ ხელი შეუწყო ნათესების ნორმალურად გამოზამთრებას და გაზაფხულზე ჯეჯილის ზრდა-განვითარება კარგად დაიწყო. კოლმეურნეობამ ადრე გაზაფხულზე (თებერვალ-მარტში) საუკეთესოდ მოაწყო ნათესების გამოკვება მინერალური სასუქებით, გამოკვების სახით თვითეულ ჰექტარზე 120-150 კილოგრამი სუპერფოსფატი და 100 კილოგრამი კალიუმის მარილი შეიტანა. წინასწარ სასუქები კარგად დაფხვნეს, ერთმანეთში აურიეს და თანაბრად გაანაწილეს ნიადაგის ზედაპირზე. ნიადაგის შეშრობისთანავე აპრილში ჩაატარეს ჯეჯილის ფარცხვა „ზიგზაგით“. ამით სასუქები ნიადაგში მოაქციეს, ნაკვეთი გაფხვიერეს და ხელი შეუწყეს მცენარეთა განახლებულ ბარტყობას. დასარევლიანებული ნათესები ჯეჯილის დამუწლებამდე გამარგლეს.

პურეულის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება უხვი მოსავლის საწინდარია. ეს კარგად გაითვალისწინა კოლმეურნეობის ბრიგადამ, მემინდვრეობის ბრიგადირებთან და გამარჯვების მტს-ის წარმომადგენელთან ერთად წინასწარ შეამოწმა პურის ყანები და განსაზღვრა ცალკეული ნაკვეთების მოსავლის აღების ვადები. ამის შემდეგ შეადგინა მოსავლის აღების კალენდარული გეგმა. მექანიზატორთა დახმარებით მოსავალი უდანაკარგოდ აიღეს.

კოლმეურნეობამ წელს საშემოდგომო ხორბალი დროულად დათესა, კიდევ უფრო გაამდიდრა თავისი გამოცდილება. საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობის გადიდებაში წითელწყაროელ კოლმეურნეთა გამოცდილება ფართოდ გავრცელების ღირსია.

აგრონომი კ. ქალანდაძე.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივნის ანგარიში რაიკომის ბიუროზე

ცხაკაია. (საკ. კორ.). პარტიის ცხაკაიის რაიკომის ბიუროს განიხილა სოფელ ხორშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის ი. სერგიას ანგარიში.

რაიკომის ბიუროზე აღინიშნა, რომ პარტიულ ორგანიზაციას მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ აქვს ნაკლოვანებანი. სათანადო ყურადღება არ ექცევა პარტიული ორგანიზაციის სამუშაო გეგმის შედგენას, კომუნისტების ნაწილი თავს არიდებს საკითხების განხილვაში მონაწილეობას, სუსტად არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. ნაკლები ყურადღება ექცევა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას და კომუნისტებისათვის მიცემული პარტიული დავალების შესრულების შემოწმებას. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მასებში. ამით უნდა აიხსნას, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სკკპ რიგებში არც ერთი კაცი არ მიუღიათ. სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას აგრეთვე საგანმანათლებლო-მასობრივი მუშაობა. აგიტატორები ტ. გვასალია, ნ. ბერაია, ი. ხუხუა და სხვები არაკეთილსინდისიერად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ მათ მიმართ პარტიულ ორგანიზაციას არავითარი ზომები არ მიუღია.

პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ ვერ იყენებს კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას. დაბალია კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული რ ოლი. ამით აიხსნება, რომ კოლმეურნეობაში ჩაის კრეფის, მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის გეგმები არ სრულდება.

რაიკომის ბიუროს ხორშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახა სათანადო ღონისძიებანი.

საქალაქო კომიტეტი და ახალშენებლობანი

პარტიულ თემაზე

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამხრეთ ოსეთის საოლქო ცენტრმა — სტალინირმა მკვეთრად იცვალა სახე. ოდესღაც პატარა, მივარდნილი დაბა ცხინვალი, მისი ვიწრო და ჭუჭყიანი ქუჩებით, ნახევრადდანგრეული და ულამაზათო სახლებით, მოკლებული იყო ყოველგვარ კომუნალურ მომსახურებას და სამრეწველო წარმოებას. ახლა იგი გადაიქცა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ კეთილმოწყობილ ქალაქად.

სტალინირში აშენდა და წარმატებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს მექანიკური და ლუდის ქარხნები, ხეტყის კომბინატი, ადგილობრივი მრეწველობის ტვირი საწარმო. რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით ქალაქი დამშენდა ახალი კეთილმოწყობილი სადგურით. აშენდა საშუალო სკოლების შენობები, პედაგოგიური ინსტიტუტის კორპუსები. ქალაქის მშვენებად ითვლება საბჭოების სახლის, სასტუმროსა და თეატრის მონუმენტური შენობები. მოსახლეობის სწრაფად ზრდასთან დაკავშირებით სულ უფრო შორს იწევს ქალაქის საზღვრები. კეთილმოწყობილია ქალაქის ქუჩები და მოედნები. ქალაქის ცენტრში, სახელმწიფო თეატრის შენობის წინ, აღმართულია მონუმენტი ვ. ი. ლენინის გენიალური მოწაფისა და ერთგული თანამებრძოლის — ი. ბ. სტალინისა, რომლის სახელსაც ატარებს ქალაქი.

წელს ქალაქ სტალინირში ნაცვლად ერთადერთი სამშენებლო-სამონტაჟო კანტორისა, რომელიც მოკლებული იყო მექანიზმებს და თავს ვერ ართმევდა სამუშაოებს, შეიქმნა ორი ახალი საშენებლო-სამონტაჟო სამმართველო. ამ სამმართველოების შექმნა გამოწვეულია ქალაქში დიდ სამშენებლო სამუშაოთა გაჩაღებით. უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში სტალინირს შეემატება პურის, ღვინის, აგურის, საკონსერვო და ხილის შემფუთველი ქარხნები, ავეჯის საწარმო, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ახალი კეთილმოწყობილი მაღაზიები და სასადილოები, საცხოვრებელი სახლები, აშენდება კინოთეატრის, მუსიკალური სასწავლებლის, პედაგოგიური ინსტიტუტის, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ახალი შენობები. გათვალისწინებულია აგრეთვე დიდი ავტოსატრანსპორტო გარაჟის მშენებლობა. ელექტროენერგიით ქალაქის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დაწყებულია მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობა გორის რაიონის ტირიფონის ჰიდროელექტროსადგურიდან. გარდა ახალი მშენებლობებისა ქალაქში დაწყებულია მთელი რიგი სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მიმდინარეობს აგურისა და კრამიტის ქარხნების, წყალსადენისა და ქალაქის ელექტროქსელის, აბანოსა და მასწავლებლის სახლის რეკონსტრუქცია, ფართოვდება სატყეო კომბინატისა და მექანიკური ქარხნის საწარმოო ფართობები, სიმძლავრე მოემატება კეხვის ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც ქალაქს ელექტროენერგიით ამარაგებს.

დაწყებულია და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს რკინიგზის სადგურის ტერიტორიისა და ვაგზლის შენობის კეთილმოწყობის სამუშაოები. განუწყვეტელი მუშაობა წარმოებს ქალაქის ქუჩებისა და მოედნების კეთილმოსაწყობად.

სამშენებლო სამუშაოების ფართოდ გაშლამ ქალაქის პარტიული ორგანიზაციის წინაშე დააყენა ახალი ამოცანები, რომელთა გადაჭრა პარტიის საქალაქო კომიტეტისათვის არც თუ ისე ადვილი იყო, რადგან ქალაქის პარტიულ ორგანიზაციას სათანადო გამოცდილება არ ჰქონდა ფართო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დარგში. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ქალაქს არ ჰყავდა ხელმძღვანელ მშენებელთა გამოცდილი კადრი. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ქალაქის პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგარი ახალი ამოცანა თავის გადაჭრას მოითხოვდა, რასაც სტალინირის კომუნისტები დიდი მონდომებით შეუდგნენ. „გორმშენის“ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო № 2 და „საქსურსათმშენის“ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო № 10 შეივსო ახალი კადრებით. პარტიის საქალაქო კომიტეტმა პირველ რიგში იზრუნა იმისათვის, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოებთან პარტიული ორგანიზაციები ჩამოყალიბებულიყო. ამ მიზნით მშენებლობებზე მუდმივ სამუშაოდ მივლინებულ იქნენ კომუნისტები ქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. ახლა ქალაქის ყველა სამშენებელ სამმართველოსა და სარემონტო კანტორასთან შექმნილია პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯები მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადასაჭრელად.

სამშენებლო სამმართველოების პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი და სუსტი არიან, მაგრამ პარტიის საქალაქო კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ გადააქციოს ისინი ერთიან მებრძოლ ორგანიზაციებად.

„საქსურსათმშენის“ № 10 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში (უფროსი ამხ. არსენიშვილი) ბევრი რამ რომ არის გაკეთებული მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად და სამუშაოები უკეთესად რომ მიმდინარეობს, ეს იმითაც აიხსნება, რომ აქ პარტიულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს შედარებით გამოცდილი მუშაკი, პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრი, კომუნისტი ვ. კოზაევი. სულ მცირე ხნის ისტორია აქვს ამ პარტიულ ორგანიზაციას, მაგრამ დღემდე უკვე განახილა მშენებლობის მრავალი საჭირბოროტო საკითხი, სათავეში ჩაუდგა მშენებელთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებას და ნაყოფიერ მუშაობას იწევა მოწინავე მშენებელთა გამოცდილების პოპულარიზაციისათვის.

მაგრამ ასე არ ითქმის მეორე სამშენებლო ორგანიზაციის ტრესტ „გორმშენის“ № 2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს შესახებ. ეს სამმართველო (უფროსი კომუნისტი კ. თებლოევი) არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. სამმართველოსთან არსებულ პარტიულ ორგანიზაციას ახალგაზრდა და გამოუცდელი კომუნისტი ამხ. სომხიევი ხელმძღვანელობს. პარტიის საქალაქო კომიტეტი მას სათანადო ხელმძღვანელობას და დახმარებას ვერ უწევს.

ამ ორი ძირითადი სამშენებლო ორგანიზაციის განსხვავებული მდგომარეობა იმის მკაფიო მაგალითია, რომ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლით და სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის გაძლიერებით შეიძლება მოპოვებულ იქნას მნიშვნელოვანი წარმატებები ბუშაობაში. მაგრამ აქედან პარტიის საქალაქო კომიტეტს ჯერ კიდევ არ გაუკეთებია სათანადო დასკვნები. ბევრ სამშენებლო ობიექტზე ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული მშენებელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა. ამის შედეგად ამ ობიექტებზე დაბალია მშენებლობის ტემპი.

მართალია, სამშენებლო გეგმების შეუსრულებლობა იმითაც აიხსნება, რომ მშენებლობანი მუშახელის სიმცირეს და ზოგიერთი სამშენებლო მასალის ნაკლოვანებას განიცდიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მდგომარეობა მაინც შეიძლება უკეთესი ყოფილიყო, პირველადი პარტიული ორგანიზაციები და თვით პარტიის საქალაქო კომიტეტი ღრმად რომ სწვდებოდნენ ჩამორჩენის მიზეზებს და დროულად იღებდნენ ზომებს მათი აღმოფხვრისათვის.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა მცირე დროის განმავლობაში ორჯერ იმსჯელა სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობისა და მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ. ფართოდ გაიშალა მუშობა ადგილობრივი სამშენებლო მასალების—კირის, სამშენებლო ქვის, ქვიშის, ხე-ტყის დასამზადებლად და მშენებლობის ტერიტორიაზე გადასატანად. გაუმჯობესდა მექანიზმების — ექსკავატორების, სკრეპერების, ბულდოზერების გამოყენება. სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოები შეივსო მუშათა კადრებით — დურგლებით, კალატოზებით, ზეინკლებით. მაგრამ ზოგან მუშაობის ტემპი მაინც დაბალი იყო. № 2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ ყურადღება ვერ გაამახვილა მაღალი ძაბვის ელექტროხაზის მშენებლობაზე და ეს უბანი სამარცხვინოდ ჩამორჩა. თუ ეს ნაკლი საჩქაროდ არ იქნა გამოსწორებული, მან შეიძლება გამოიწვიოს დანარჩენი ობიექტების მშენებლობისა და ქალაქის საწარმოების ნორმალური მუშაობის შეფერხება. ზოგიერთი ობიექტის მშენებლობის შეფერხება ზოგჯერ მშენებელთაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, განსაკუთრებით საშენი მასალების უქონლობით არის გამოწვეული, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მაღალი ძაბვის ხაზის მშენებლობაზე. ამ ობიექტის მშენებლობამ ვერ შეძლეს მოეწყოთ კომპლექსური მუშაობა, თუმცა ამის შესაძლებლობა ჰქონდათ. მთელი ტრასის თითქმის ნახევარზე დამთავრებულია ბოძების დადგმა. დანარჩენ საბუშაოებთან ერთდროულად მოსახერხებელი იყო ტრასის ამ ნაწილზე სამონტაჟო სამუშაოების გაშლაც, მაგრამ იმის გამო, რომ დროულად არ იზრუნეს მონტაჟისთვის საჭირო დეტალების დასამზადებლად, ახლა ხაზის მშენებლობა შეუწყნარებლად ჭიანურდება. თუ ტრასის მშენებლებს ცვალებადიანი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობა გაეწევათ, მათ გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლებათ.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა ანალიზი გაუკეთა სამშენებლო სამუშაოთა მიმდინარეობას და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადაწყვეტა ამ დღეებში მოიწვიოს მშენებელთა აქტივის საქალაქო კრება, დასახოს პრაქტიკული ღონისძიებანი ჩამორჩენის დასაძლევად. განზრახული გვაქვს საქმე ისე მოვაწყოთ, რომ სამშენებლო სამუშაოები შეუფერხებლად ნიმდინარეობდეს ზამთრის პირობებშიც. ამისათვის, პარტიის საქალაქო კომიტეტმა მიიღო ზომები ობიექტების მოსამარაგებლად საჭირო მასალებით და ზამთარში შეუფერხებელი მუშაობის პირობების შესაქმნელად. ყოველივე ანან მშენებელთა აღფრთოვანება და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ახლა საქმე მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ ჩვენს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოთა კოლექტივებს როგორ შეუწყობენ ხელს საშენებლო ტრესტების ხელმძღვანელები.

ამა თუ იმ ობიექტის მშენებლობის დაჩქარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მშენებელთა კოლექტივს კარგად ჰქონდეს შეგნებული ამ ობიექტის მნიშვნელობა საქალაქო მეურნეობაში. პარტიული ორგანიზაციები ამ ნიზნით მშენებლებთან უკვე აწყობენ საუბრებს, ეჭვი არ არის, ეს სათანადო ნაყოფს გამოიღებს.

ქალაქ სტალინირის მშენებლებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ძალიან მცირე გამოცდილება მოეპოვებათ, განზრახული აქვთ ამ დღეებში ინახულონ თბილისში გახსნილი სამშენებლო გამოფენა და გადმოიტანონ თბილისის მოწინავე მშენებელთა გამოცდილება.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა მიიღო ზომები, რომ ქალაქის ყველა საწარმო-დაწესებულებამ რაც შეიძლება მეტი დახმარება გაუწიოს მშენებლებს. ქალაქის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები აწყობენ შაბათობებს და ხშირად გადიან მშენებელთა დასახმარებლად. შემდეგში ასეთი დახმარება კიდევ უფრო გაძლიერდება. ქალაქის პარტიული ორგანიზაციები ყველა ზომას მიიღებენ, რომ უზრუნველყონ ყველა ობიექტის მშენებლობის ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად დამთავრება.

პ. გილაშვილი.

პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

რა აბრკოლებს ყურძნის დროულად მიღება-გადამუშავებას

სამტრესტის სიღნაღის ქარხანათა სამმართველო (მმართველი მ. მხეიძე) მომზადებული ვერ შეხვდა რთველს, ვერ უზრუნველყო ქარხნები ქვევრებითა და კასრებით. ამის შესახებ გაზეთმა „კომუნისტმა“ დროულად მისცა სიგნალი ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სამტრესტს. მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

ტიბაანის ქარხანას (გამგე ი. ზედელაშვილი) ჯერაც არ შეუძენია 85 ცალი ქვევრი, მარანში არსებული ქვევრები მთლიანად არის მოკავებული ახლად გადამუშავებული მოსავლით. კოლმეურნეობებმა დატვირთული მანქანებით შორეულ ქარხნებს მიამურეს, მაგრამ იქაც ამაოდ.

სოფელ ტიბაანის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ყურძენი ტიბაანის ქარხანაში გეგმით გათვალისწინებული 292 ტონის ნაცვლად მხოლოდ 167 ტონა მიიღეს. შემდეგ ქარხანამ მიღება შეწყვიტა, კოლმეურნეობას ათეული კილომეტრის დაშორებით უხდება ყურძნის ჩაბარება. ეს მაშინ, როცა ქარხანა ტიბაანის ვენახებს ნახევარი კილომეტრით არის დაშორებული. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც საქობოს ღვინის ქარხანაშია (გამგე ნ. დავითაშვილი). გამონაკლისი როდია რაიონში შემთხვევები, როცა დაკრეფილი ყურძენი დღეობით აწყვია და ლპება.

ასეთი სერიოზული ნაკლოვანებები ყურძნის მიღება-გადამუშავებაში გამოწვეულია სამტრესტისა და სიღნაღის ქარხანათა სამმართველოს მოუქნელი ძუშაობით.

რაიონში ახლა ყურძენი წლიური გეგმის გადამეტებით იკრიფება. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, რათა არ შეფერხდეს ყურძნის მიღება-გადამუშავება.

ზ. ხეჩუაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

წერილები რედაქციას

გავუფრთხილდეთ ჯყეს

მესტიის რაიონი მდიდარია როგორც ფოთლოვანი, ისე წიწვოვანი ტყეებით. განსაკუთრებით ხშირია ტყე რაიონის დასავლეთ ნაწილში, სადაც ხე-ტყის დამუშავებას სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. სამწუხაროდ, ტყეების ექსპლოატაცია თითქმის უგეგმოდ წარმოებდა. ამან გამოიწვია რაიონის ცენტრთან ახლო მდებარე ტყეების გამეჩხერება. განსაკუთრებით სავალალოა ის, რომ მესტიის სამხრეთით მდებარე შგედის ქედი, რომელიც მდიდარია ძვირფასი წიწვიანი ხის ჯიშებით, პარბაროსულად ნადგურდება. კარგა ხნის წინათ რაიონული საბჭოს აღმასკომმა იმსჯელა ამ საკითხზე, დადგენილებაც მიიღო, რომლითაც აკრძალა რაიონის ცენტრთან ახლო მდებარე ტყეებში ხის მოჭრა, მაგრამ ეს დადგენილება არ ხორციელდება.

ამ ოთხიოდე წლის წინათ შგედის ქედზე, სახელდობრ ჰაწალში, რომელიც საკურორტო ადგილად არის ცნობილი და სადაც შესანიშნავი ნაძვნარი, ალპური საძოვრები და სათიბებია, სამანქანო გზა გაიყვანეს. ამ გზის გაყვანის შემდეგ უნდა დაწყებულიყო საკურორტო მშენებლობა, მაგრამ ეს საკითხი დღემდე მივიწყებულია. ამჟამად ამ გზით კოლმეურნეებს ჩამოაქვთ როგორც თივა, ისე ხე-ტყის მასალა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ კურორტად მიჩნეულ ადგილებში შესანიშნავი ტყე ნადგურდება, რაც სატყეო უბნების უმოქმედობით აიხსნება. ამის გამოსასწორებლად თუ დროზე არ იქნა მიღებული გადამჭრელი ღონისძიებანი, რაიონული ცენტრის ახლომახლო ადგილები 5-10 წლის განმავლობაში სრულიად გატიტვლდება და გავერანდება.

მერქნითა და სათბობი მასალით რაიონული ცენტრის უზრუნველსაყოფად უმჯობესია ლატალის სასოფლო საბჭოს ტერიტორიიდან მდინარე ენგურის ნაპირის გაყოლებით იფარის სასოფლო საბჭომდე გაყვანილ იქნას საავტომობილო გზა. ენგურის ხეობის ამ ნაწილში (ლატალსა და იფარს შუა) გზის უქონლობის გამო სრულიად გამოუყენებელი რჩება დიდძალი ხე-ტყის მასალა. მისი ექსპლოატაცია ხელს შეუწყობდა მესტიის ირგვლივ ტყის მასივების დაცვას. ამ გზას სხვა მხრივაც აქვს მნიშვნელობა. მართალია იფარისა და კალის სასოფლო საბჭომდე გაყვანილია საავტომობილო გზა მდინარე მულხურას ნაპირის გაყოლებით, მაგრამ ეს გზა გადადის უღვირის უღელტეხილზე. ეს უღელტეხილი ზღვის დონიდან 1.800 მეტრის სიმაღლეზეა და ამიტომ ზამთრობით (6 თვის განმავლობაში) მანქანების მიმოსვლისათვის გამოუყენებელია.

ახალი გზის გაყვანით აღნიშნულ სასოფლო საბჭოებთან ზამთრის პირობებში უკეთესად მოგვარდება კავშირი. გარდა ამისა, ის სოფლები, რომლებიც ამჟამად მოკლებულნი არიან სამანქანო გზით სარგებლობას, დაუკავშირდებიან რაიონულ ცენტრს.

რაიონის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს აღნიშნული გზის გაყვანისათვის, ამასთან ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს მესტიის ირგვლივ არსებული ტყეების დაცვას.

ე. გულედანი,
მესტიის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელი.

თავაშვებული მძღოლები და მილიციის უდარდელი მუშაკები

ქალაქსა და სოფელს შორის ტვირთბრუნვის დაჩქარება და მგზავრთა გადაყვანის გაუმჯობესება ავტოტრანსპორტის გამართულ, მოწესრიგებულ მუშაობაზე და საავტომობილო გზების კეთილმოწყობაზეც არის დამოკიდებული.

დიდი თანხა და შრომა დაიხარჯა საჯავახო-ჩოხატაურ-მახარაძისა და ბახმაროს შარაგზების მშენებლობაზე. ახლა აქ ყოველ წუთს დაჭრიან სამგზავრო და სატვირთო ავტომანქანები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მგზავრთა მომსახურება. მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის, ხშირია მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევები. ეს იმიტომ ხდება, რომ ავტომანქანების მძღოლებად ხშირად მუშაობენ ამ საქმისათვის შეუფერებელი, თავაშვებული პირები, რომლებიც თავიანთი ჯიბის გასქელებაზე ფიქრობენ, დაუშვებელი სისწრაფით დაჯჯერითებენ სახელმწიფო ავტომანქანებს და ამით საფრთხეში აყენებენ მგზავრთა სიცოცხლესაც.

ავტოტრანსის მახარაძის განყოფილებამ მახარაძე-ბახმაროს რთულპროფილიან შარაგზაზე სატვირთო მანქანით პურის ფქვილის წაღება დაავალა სამი თვის სტაჟის მქონე მესამე კლასის მძღოლს გივი ლომთათიძეს, რომელმაც ხალტურის გაკეთების მიზნით ტომრებზე 14 მგზავრი დასხა. გზაში მძღოლი მგზავრებმა მაგიდაზე მიიპატიჟეს და უზომოთ დაათვრეს. მთვრალმა მძღოლმა მოხვეულში მანქანა გადაჩეხა და ღვინის სმის მსხვერპლი გახდა, მასთან ერთად დაიმტვრა რამდენიმე მგზავრი.

ივლისში ბახმარო-ხიდისთავის გაღასარბენზე მძლავრი მანქანა ჩააბარეს ფიზიკურად სუსტ, მესამე კლასის მძღოლს ე. მგალობლიშვილს, რომელმაც მანქანა მგზავრებიანად კლდეზე გადაჩეხა.

ჩოხატაურის № 1 ჩაის ფაბრიკის მესამე კლასის მძღოლი პაველ პლასტიენკო ხშირად არღვევდა მოძრაობის წესებს, სატვირთო ავტომანქანით სისტემატურად დაჰყავდა ხალხი. მილიციის ორგანოებმა მას ჩამოართვეს მანქანის მართვის უფლება, მაგრამ რატომღაც უფლებაჩამორთმეული პ. პლასტიენკო კვლავ მანქანის საჭესთან დაჯდა, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ჩაით დატვირთული მანქანა ხიდზე გადაიჩეხა და დაიმტვრა.

9 სექტემბერს მახარაძის რაიონის მძღოლმა ყაზაშვილმა უწესივრო მდგომარეობაში მყოფი ავტომანქანა გარაჟიდან გამოიყვანა და ქუთაისის მიმართულებით წავიდა, გზაში დიდი სისწრაფე განავითარა და სოფელ ბურნათში (ჩოხატაურიდან 5 კილომეტრზე) მანქანა ხრამში გადაადგო. იმისთვის, რომ ეს ამბავი მილიციის ორგანოებისათვის დაემალათ, შემთხვევის ადგილზე რამდენიმე მძლავრი ავტომანქანა გაგზავნეს, მანქანა ამოიღეს და ნამალევად წაიყვანეს უკან. 8 სექტემბერს ჩოხატაურიდან 3 კილომეტრის მანძილზე სამტრედიის რაიონის სოფელ ქვაყუდის კოლმეურნეობის სატვირთო ავტომანქანა თვითნებურად წაიყვანა გარაჟიდან და ხრამში გადააყირავა მძღოლის თანაშემწე ძნელაძემ.

ყოველდღე საჯავახოს სადგურში სამგზავრო მატარებელს ელოდებიან სატვირთო ავტომანქანები, რომლებითაც ასობით მგზავრი გადაჰყავთ. ვიწაიდან მანქანებზე დასაჯდომები არ არის, მგზავრები ფეხზე დგანან და მათი სიცოცხლე საფრთხეშია. ეს სატვირთო ავტომანქანები კოლმეურნეობებს და სახელმწიფო დაწესებულებებს ეკუთვნით. გზებზე არსებულ საკონტროლო პოსტებზე მანქანის მძღოლს თვალის ასახვევად ორ-სამ ბილეთს აყიდვინებენ, დანარჩენი შემოსავალი კი მძღოლების ჯიბეებში მიდის. ასეთი ფაქტები მარტო საჯავახო-ჩოხატაურისა და მახარაძე-ბახმაროს გზებზე როდია. სამტრედიიდან წულუკიძის, ვანის და აბაშის მიმართულებით მომავალი ავტომანქანების მძღოლები ყვირილით მოუწოდებენ მგზავრებს დაიკავონ ადგილები მანქანებზე. იქვე მყოფი მილიციის მუშაკები კი ხშირად ყურს იყრუებენ. ცუდად მუშაობენ ავტოინსპექტორები, რომლებიც ურიგდებიან ასეთ აღმაშფოთებელ შემთხვევებს და წესრიგის დასამყარებლად საჭირო ზომებს არ იღებენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ჩოხატაურში, სამტრედიასა და მახარაძეში, ისე სხვაგან ბევრია სტაჟიანი მძღოლი, რომელსაც წლობით უდევს ჯიბეში მესამე კლასის მძღოლის წიგნაკი, მათ დაისტატებაზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე კი არავინ ფიქრობს. საჭიროა ამ საკითხს მეტი ყურადღება მიაქციონ სათანადო ორგანოებმა.

ვ. ძნელაძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ჩამორჩენილი კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია“

„კომუნისტის“ 9 ივლისის ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილი წერილი შეეხებოდა წყალტუბოს რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის სუსტ მუშაობას. ამ წერილში მოყვანილი ფაქტების შესახებ ამსჯელა პარტიის წყალტუბოს რაიკომის ბიურომ და სწორად ცნო გაზეთის კრიტიკული შენიშვნები.

რაიკომის ბიურომ კოლმეურნეობის № 1 ბრიგადის ბრიგადირს ამხ. ს. ჭოლაძეს 4 ჰექტარი პამიდორის ნარგავის აგროწესების დარღვევით დამუშავებისათვის გამოუცხადა საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით.

ბიურომ პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. ვ. მარჯანიშვილს კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების გამოუყენებლობის, პარტიული კრებების მოუმზადებლად მოწვევისა და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შესუსტებისათვის გამოუცხადა საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანთან, ხოლო მტს-ის აგრონომი ამხ. ლ. შარკაძე, რომელიც არასერიოზულად ეკიდებოდა კოლმეურნეობაში მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, მოხსნა სამუშაოდან.

რაიკომის მდივანს მტს-ის ზონაში ამხ. ნ. შონიას დაევალა გააძლიეროს ხელმძღვანელობა და დახმარება კოლმეურნეობისადმი.

„რა ინვევს ჩამორჩენას“?

ამ სათაურით „კომუნისტის“ 26 სექტემბრის ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის სართავი ფაბრიკის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

კომბინატის პარტიული ორგანიზაციის ბიურომ შეისწავლა სართავი ფაბრიკის მუშაობა. შემოწმებული წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საკითხი განიხილა კომბინატის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებამ. სართავი ფაბრიკის მუშაობის გასაუმჯობესებლად და არსებული სერიოზული ნაკლოვანებების მოკლე დროში გამოსასწორებლად კრებამ მიიღო დადგენილება.

კომბინატის მთავარ ინჟინერს დ. სიროტკინს და სართავი ფაბრიკის გამგეს გ. რევიას სართავი ფაბრიკის მუშაობაში ნაკლოვანებათა დაშვებისათვის დაედოთ პარტიული სასჯელი.



გარეუბნის რაიონის სოფელ გლდანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა მეფრინველეობის განვითარების გეგმა. კოლმეურნეობას ჰყავს 1.865 ფრთა ქათამი, ბატი, იხვი.

სურათზე: მომვლელი ნინო ნამორაძე საკვებს აძლევს ფრინველს.

ფოტო შ. გოქაძისა.

თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

სულ უფრო მდიდარი და კეთილმოწყობილი ხდება თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ახლახან აქ გაიხსნა საბჭოთა პერიოდის ამსახველი გამოფენა. მოიწყო ერეკლე II-ის ოთახი.

შარშან და წელს მუზეუმმა 220 ახალი ექსპონატი შეიძინა. თელავის მცხოვრებმა ზ. ლუარსაბიშვილმა მუზეუმს გადასცა მის მიერ ნაპოვნი ოქროს მონეტა, მოქ. ნინოშვილმა — 1914 წელს სიღნაღში აბრეშუმის ქსოვილზე დაბეჭდილი გაზეთი „ხმა კახეთისა“. იგი განკუთვნილი იყო გაზეთების საერთაშორისო გამოფენისათვის პარიზში.

თეთრწყლების სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ი. პაატაშვილმა მუზეუმს გადასცა სოფელში ნაპოვნი ბრინჯაოს იარაღები, ინჟინერმა გ. ჯაფარიძემ — თელავის ახალი კინოთეატრის მშენებლობის ადგილზე ნაპოვნი საინტერესო ექსპონატები.

ი. ჩიტაშვილი.

სასოფლო ბიბლიოთეკა

სიღნაღი. (საკ. კორ.). ამ დღეებში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სოფელ ანაგის ბიბლიოთეკა.

ახალ სასოფლო ბიბლიოთეკაში 1.060 წიგნია. გადაწყვეტილი აქვთ მომავალში ერთიორად გაზარდონ წიგნების რაოდენობა. ახლა სოფლის ბიბლიოთეკას მრავალი მკითხველი ჰყავს. სისტემატურად მოდიან კოლმეურნეები, მოსწავლეები, მოსამსახურეები.

სასკოლო შენობები

ასპინძის რაიონის სოფელ თმოგვში დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი შენობა დაწყებითი სკოლისათვის, რომლის მშენებლობაზე 107 ათასი მანეთი დაიხარჯა.

ახალი სასკოლო შენობები შენდება სოფლებში საროსა და აწყვიტაში.

წიგნები გავშვებისათვის

წელს საქართველოს საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ ბავშვებისათვის ქართულ ენაზე გამოსცა 56 სახელწოდების ათასობით წიგნი, მათ შორის კლასიკოსების, საბჭოთა ავტორების ნაწარმოებები, მეცნიერულ-შხატვრული, მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა.

დიდი ტირაჟით გამოვიდა ნ. ნეკრასოვის „საბავშვო ლექსები“, ა. პუშკინის „ზღაპრები“, ვაჟა-ფშაველას „საბავშვო მოთხრობები“, აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“ და სხვა წიგნები.

გამოვიდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მწერლების ნაწარმოებები, ბულგარული, ჩინური, კორეული ზღაპრები.

უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის საბლიტგამმა გამოსცა ლ. ქიაჩელის „დათუჩა“, ნ. ჩაჩავას „ციალას მეზობლები“, ქ. ჭილაშვილის „პატარა მეგობრებს“ და სხვა წიგნები.

წიგნების ილუსტრაციები შესრულებულია შ. ცხადაძის, კ. მახარაძის, რ. ცუცქირიძის, გ. ჩირინაშვილის, ა. ბანძელაძის და სხვათა მიერ.

ამ დღეებში გამოვიდა შარლ პეროს „წითელქუდა“.

ახალი წიგნები

რ. მარგიანი — ლექსები და ბალადები. წიგნში მოთავსებული ლექსები დაყოფილია ციკლებად: „სიმღერა კომუნიზმისა“, „აქა მშვიდობა“, „მთანი მაღალნი“, „მუმლი მუხასა“. წიგნის რედაქტორია შ. სულაბერიძე, მხატვარი — გ. გორდელაძე. სახელგამი, თბილისი, 1954 წელი, ტირაჟი 5.000, გვ. 281, ფასი 6 მან. 15 კაპ.

თ. სახოკია — ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. ტ. II. პროფესორ გიორგი ჩიტაიას რედაქციით. სახელგამი, თბილისი, 1954 წელი, ტირაჟი 8.000, გვ. 210, ფასი 9 მანეთი.

ვ. ჯიბუტი — ქართველი საბავშვო მწერლები. საბლიტგამი, თბილისი, 1954 წელი, ტირაჟი 7.000, გვ. 129, ფასი 2 მან. 90 კაპ.

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა შემდეგი ბროშურები:

მ. ბობროვა — ლატვიელი ხალხის მწერალი ვილის ლაცისი. რუსულიდან თარგმნა ნ. ხავთასმა. თბილისი, 1954 წელი. ტირაჟი 8.000, გვ. 63, ფასი 1 მან.

ვ. იმედაძე — უკრაინელ და ქართველ ხალხთა დიადი თანამეგობრობა. თბილისი, 1954 წელი. ტირაჟი 8.000, გვ. 44, ფასი 1 მან.

ვ. შადური — გრიბოედოვი და საქართველო. თბილისი, 1954 წელი. ტირაჟი 10.000, გვ. 41, ფასი 1 მან.

ს. ჭილაია — ლეო ქიაჩელი. თბილისი. 1954 წელი. ტირაჟი 20.000, გვ. 50, ფასი 1 მან.

ურღვევი მეგობრობა

რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის გამო

შემოქმედებითი შრომის ახალი წარმატებებით აღნიშნავს რუმინეთის მილიონობით მშრომელი რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურს, რომელიც ჩვენს საყვარელ და ტრადიციულ დღესასწაულად გადაიქცა. 7 ოქტომბრიდან 7 ნოემბრამდე ასეთი ერთთვიურის ყოველწლიურად მოწყობა რუმინელი ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და მადლიერების მკაფიო დადასტურებაა კომუნიზმის მშენებელთა ქვეყნისადმი, რომლის მხარდაჭერაც ჩვენი წინსვლის საწინდარია.

1944 წლის შემოდგომაზე წარმოიშვა საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის რუმინეთის საზოგადოება — „არლუსი“. განვლილი წლების მანძილზე არლუსი ვითარდებოდა და იზრდებოდა ჩვენი მშრომელი ხალხის ისტორიულ მონაპოვრებთან ერთად და გადაიქცა მასობრივ და მძლავრ ორგანიზაციად.

ჩვენს დიდ აღმოსავლეთელ მეზობელთან მეგობრობა მუდამ ძვირფასი იყო ჩვენი ხალხისათვის.

რამდენად სწორი და ბუნებრივი იყო ჩვენი ხალხის მისწრაფება სსრ კავშირთან მეგობრობისადმი, ეს ჩანდა 1944 წლის 23 აგვისტოს, როცა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების დახმარებით რუმინელმა ხალხმა თავისუფლება და ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვა. შემდგომ წლებში, საბჭოთა კავშირის ძმური უანგარო დახმარება რომ არ ყოფილიყო, ომისაგან აღიერ დაზარალებული ჩვენი ქვეყნის აღდგენისა და რეკონსტრუქციისათვის მუშაობას წარმატების მეტად მცირე შანსები ექნებოდა. ჩვენი დიდი მეგობრის მიერ გამოგზავნილმა მარცვლეულმა უზრუნველყო ხალხი პურით გვალვის მძიმე პირობებში. საბჭოთა მოწყობილობის მეთხეთნი ჭაბურღილებმა კვლავ დაიწყეს ნავთობის მოცემა, აღდგენილ იქნა შახტები. საბჭოთა კოქსმა და ხამბამ გამოაცოცხლა ტრამდედები და საფეიქრო ფაბრიკები. საბჭოთა მეგიკამენტებმა ჯანმრთელობა დაუბრუნა ათასობით ადამიანს. ჩვენი განთავისუფლების შემდეგ საკუთარი თვალით ვნახეთ, თუ როგორ გაჩნდა ჩვენი სამშობლოს სივრცეებზე ახალი საწარმოები, საავადმყოფოები, სტადიონები, თეატრები და სასწავლებლები. ვნახეთ, თუ როგორ იკაფავს გზას სოფლებში სიუხვის მომასწავებელი სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

ჩვენ ვხედავთ, როგორ გადაიქცა ჩვენი ქვეყანა, რომელიც ოდესღაც დასავლეთზე იყო დამოკიდებული ტექნიკის დარგში, ისეთ ქვეყნად, რომელსაც გააქვს ნავთობის მოწყობილობა, ტრაქტორები, ელექტრომოტორები, მანქანები და სხვა სახეობის სამრეწველო პროდუქცია. ჩვენს თვალწინ ხდება ჩვენი მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ფართო განვითარება. ყოველ ნაბიჯზე, საქმიანობის ყოველ დარგში საგრძნობია საბჭოთა კავშირის დახმარება. ჩვენ სულ უფრო მეტად ვრწმუნდებით, რომ საბჭოთა კავშირთან მეგობრობა ისევე საჭიროა ჩვენთვის, როგორც ჰაერი, რომლითაც ვსუნთქავთ, როგორც წყალი, რომლითაც წყურვილს ვიკლავთ, როგორც მზე, რომელიც გვათბობს.

მეგობრობასა და დახმარებაზე ბევრს ლაპარაკობენ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. მაგრამ ნამდვილად როგორ გამოიყურება იქ ეს ნეგობრობა და დახმარება? შეერთებული შტატების „დახმარების“ შედეგად ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და დასავლეთის სხვა ქვეყნები თანდათან კარგავენ თავიანთ გასაღების ბაზრებს და იძულებული არიან შეამცირონ სამოქალაქო წარმოება, ხოლო მშრომელთა სულ უფრო დიდი მასები უმუშევრობისა და სიღატაკის მსხვერპლი ხდებიან. შენთხვევითი როდია, რომ დასავლეთის ქვეყნებში სულ უფრო მეტი ძალით გაისმის მოთხოვნა: „ამერიკელებო, შინ წადით!“.

სულ სხვა მდგომარეობაა იმ ქვეყნებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის მეგობრობითა და დახმარებით სარგებლობენ. ამ ქვეყნებში უნაგალითოდ აყვავდა ეკონომიკა და კულტურა.

თავისი არსებობის 10 წლის მანძილზე არლუსი ყოველმხრივ უწყობდა ხელს მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას ჩვენს ხალხსა და დიდ საბჭოთა ხალხს შორის. არლუსი წლითიწლობით აბამს თავის საქმიანობაში მშრომელთა სულ უფრო ფართო მასებს. არლუსის ორგანიზაციები შექმნილია რუმინეთის ყველაზე შორეულ ხუტორებშიც კი. ყველგან გაისმის სიმართლის სიტყვა საბჭოთა კავშირზე. ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი ხდება საბჭოთა გამოცდილება და საბჭოთა ხალხის კულტურული მიღწევები.

არლუსის პირველ ყრილობაზე 1945 წელს, ამ საზოგადოების შექმნიდან მოკლე ვადის შემდეგ, წარმოდგენილი იყო 57.000 წევრი. ამჟამად არლუსი ნამდვილი მასობრივი ორგანიზაციაა. იგი აერთიანებს 6 მილიონზე მეტ მშრომელს, რომლებიც გამსჭვალული არიან იმის შეგნებით, რომ შეუძლებელია ჯერეროვნად გიყვარდეს საკუთარი ქვეყანა, თუ ასევე არ გიყვარს საბჭოთა კავშირი, ჩვენი დიდი განმათავისუფლებელი, ქვეყანა, რომელიც გვეხმარება სოციალიზმის მშენებლობაში.

არლუსის წრეებში, ლექციებზე, გამოფენებზე და სხვა ღონისძიებათა მეოხებით ფართო მასებმა გაიგეს, როგორ ცხოვრობენ და შრომობენ საბჭოთა ადამიანები, როგორ აშენებენ ისინი თავიანთ ბედნიერ ცხოვრებას. რუმინელმა მეფოლადემ არლუსში გაიგო, როგორ მუშაობს საბჭოთა მეფოლადე, გლეხმა გაიგო, როგორ ცხოვრობს და შრომობს კოლმეურნე, ექიმმა გაიგო საბჭოთა მედიცინის ახალ მიღწევათა შესახებ, მხატვარმა — საბჭოთა კავშირის ხელოვნების მოღვაწეთა ახალ ნაწარმოებთა შესახებ. სწავლობენ რა საბჭოთა ადამიანების გამოცდილებით და ეუფლებიან რა ამ გამოცდილებას, ჩვენი ქვეყნის მშრომელები ცდილობენ იმუშაონ სამშობლოს კეთილდღეობისათვის ისე, როგორც ნათი საბჭოთა ამხანაგები მუშაობენ.

ციკლურობის გრაფიკით მუშაობის მეთოდებს ხევრი რუმინელი მეშახტე, რომელმაც შემდეგ შეძლო მნიშვნელოვანი წარმატებანი მოეპოვებინა წარმოებაში, გაეცნო არლუსის მეოხებით. სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის რუმინეთის საზოგადოებამ ხელი შეუწყო ჭაბურღილის ჩქაროსნული ბურღვის საბჭოთა მეთოდის გავრცელებას და პოპულარიზაცია გაუწია საბჭოთა ხარატების ბიკოვის, ბორტკევიჩისა და კოლესოვის მეთოდებს. სოფლებში, არლუსის წრეებში ხევრმა რუმინელმა გლეხმა გაიგო, თუ როგორ უნდა დათესოს კარტოფილი, სიმინდი და სხვა სათოხნი კულტურები კვადრატულ-ბუდოსებრივი წესით. ისინი აქვე გაეცნენ ხევრ სხვა აგროტექნიკურ ფოთოლს, რომელიც საბჭოთა კოლმეურნეობებს უხვ მოსავალს აძლევს. არლუსის ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რუმინეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მიერ სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში. ახლა რესპუბლიკის ასეულათასობით მუშა, ინჟინერი და ტექნიკოსი იყენებს საბჭოთა მეთოდებს.

კულტურისა და მეცნიერული ცხოვრების აღმავლობა ჩვენს ქვეყანაში დაკავშირებულია აგრეთვე იმასთან, რომ რუმინეთის საზოგადოებრიობა უფრო საფუძვლიანად გაეცნო საბჭოთა ადამიანების მიღწევებს კულტურული მშენებლობის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების დარგში.

არლუსმა თავისი არსებობის დასაწყისიდანვე ფართო მუშაობა გააჩაღა რუსული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის გავრცელებისა და პოპულარიზაციისათვის, რითაც ხელი შეუწყო საბჭოთა წიგნის გავრცელებას მასებში. არლუსის გამომცემლობამ „კარტია რუსკამ“ დიდი რაოდენობით გამოუშვა რუსული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის ნაწარმოებნი. რუმინელი მკითხველი გაეცნო პუშკინისა და გოგოლის, სალტიკოვ-შჩედრინისა და ნეკრასოვის, ტოლსტოის, ჩეხოვის, გორკის, ფადეევის, შოლოხოვის, ოსტროვსკის, პავლენკოს, ერენბურგის, ისაკოვსკის ნაწარმოებებს. საბჭოთა წიგნისა და პრესის გავრცელებასა და პოპულარიზაციაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს არლუსის ბუქარესტის ცენტრალური ბიბლიოთეკა, სადაც ყოველდღე დადის 400-500 მკითხველი, რომლებსაც სურთ წაიკითხონ ახალი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები ან მიიღონ ცნობები საბჭოთა სპეციალური გამოცემებიდან.

არლუსი სხვა მასობრივ ორგანიზაციებთან ერთად რუსული ენის შინსწავლული სახალხო კურსების შექმნის ინიციატორია. თუ 1945 წელს ამ კურსებზე 940 ნოსწავლე იყო, 1953/1954 სასწავლო წელს რუსულ ენას სწავლობს 220.000 კაცი.

ფართო პოპულარობით სარგებლობს ლექციები, საუბრები, მხატვრული და ლიტერატურული საღამოები, კონცერტები, სახალხო დღესასწაულები, რომლებსაც აწყობს არლუსი. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ამ დარგში რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ბუქარესტის სახლი.

დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ არლუსის [illegible] „სსრ კავშირი დღეს“ და „უი საზადის“ ყოველ ნომერში ასახულია საბჭოთა ცხოვრება, დაბეჭდილია პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ხასიათის ახალი ცნობები დიადი საბჭოთა ქვეყნის შესახებ, აგრეთვე გაშუქებულია არლუსის სხვადასხვა ორგანიზაციის მუშაობა რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებისა და საბჭოთა მიღწევებისა და გამოცდილების პოპულარიზაციისათვის.

იმის შესანიშნავი საშუალება, რომ რუმინელი ხალხი უფრო ღრმად გაეცნოს რუმინეთის მეზობელი საბჭოთა ხალხების ცხოვრებას, იყო დეკადები, რომლებიც არლუსმა უკრაინისა და მოლდავეთის საბჭოთა რესპუბლიკების პატივსაცემად ნოაწყო. მრავალი მოხსენების, გამოფენისა და სხვა ღონისძიებათა დახმარებით, რომლებიც მოეწყო ამ დეკადების განმავლობაში, არლუსი დაეხმარა რუმინეთის მოქალაქეებს დარწმუნებულიყვნენ, თუ რა შორს წავიდნენ წინ კომუნიზმის აშენებლობის გზით მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკები. დეკადების დროს ჩვენს ქვეყანაში იყვნენ უკრაინისა და მოლდავეთის რესპუბლიკების კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, მხატვრული კოლექტივები, რამაც, რასაკვირველია, ხელი შეუწყო სსრ კავშირისა და რუმინეთის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

არლუსის საქმიანობის მეტად დიდმნიშვნელოვანი მხარეა ის, რომ იგი ყოველ წელს აწყობს რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურს. ეს ერთთვიურები, რომელთა დროს ეწყობა შეხვედრები ჩამოსულ საბჭოთა ადამიანებთან, იმის საშუალებაა, რომ ყიდევ უფრო მეტად გავიცნოთ საბჭოთა კავშირის ცხოვრება და ვისწავლოთ მისი გამოცდილებით. სხვადასხვა დარგის მეცნიერების მოღვაწეებს — ბიოლოგებს, ექიმებს, ფიზიოლოგებს, ისტორიკოსებს, მეტალურგებს და სხვ. — ძვირფასი დახმარება გაუწიეს საბჭოთა მეცნიერებმა — აკადემიკოსებმა ოპარინმა, ანიჩკოვმა, ბიკოვმა, გრეკოვმა, ნიკიტინმა და მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეცნიერების სხვა წარმომადგენლებმა. ჩვენი მწერლები და კინემატოგრაფიის მუშაკები მეტად გაახარა ისეთი საბჭოთა მწერლების ჩამოსვლამ რუმინეთში, როგორიც არიან ერენბურგი, გორბატოვი, ივანოვი, ფედინი, პოლევოი, პაბაევსკი, კონორეევსორი ალექსანდროვი, ხელოვნებათმცოდნეები მარკოვი და მარტინოვი. რუმინელ მაყურებლებში დიდი წარმატება ჰქონდა საბჭოთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების კონცერტებს, მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრს და სხვ. სიხარულით შეხვდნენ ჩვენს სცენაზე საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების წარმომადგენლებს, მსოფლიოში განთქმულ მსახიობებს ოისტრახს, რეიზენს, კაზანცევას, ბარსოვასა და ბევრ სხვას. დიდი ნაყოფი გამოიღო იმან, რომ რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდნენ საბჭოთა წარმოების მოწინავეები, მათ შორის როსიისკი, ბიკოვი, კონონენკო, სემინსკი, კაჩუროვსკი, დოლინიკი და სხვები. მათ გვიჩვენეს, როგორ შეიძლება მუშაობა, რომ მივაღწიოთ შრომის მაღალ ნაყოფიერებას. საბჭოთა კავშირისადმი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მეგობრული გრძნობების მანიფესტაცია იყო ხალხური შემოქმედების კონკურსი, რომელიც მოეწყო წელს ერთთვიურის ალსანიშნავად. კონკურსის მონაწილეთა დიდი რაოდენობა, აგრეთვე კონკურსზე წარდგენილ ნაწარმოებთა თემატიკის სიმდიდრე და სხვადასხვაობა ასახავს რუმინეთის მშრომელთა სიყვარულს საბჭოთა კავშირისადმი.

მე ვილაპარაკე იმ მუშაობის ზოგიერთ მხარეზე, რომელიც არლუსმა გაანახორციელა რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განსამტკიცებლად. ჩვენი ხალხი ესწრაფვის აითვისოს საბჭოთა ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის საგანძურიდან სულ უფრო მეტი ცოდნა. რუმინეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განუწყვეტელი გაფართოება და განმტკიცება არლუსის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

დღესასწაულობენ რა არლუსის მოღვაწეობის მე-10 წლისთავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის წინ, ჩვენი ქვეყნის მშრომელები ერთხელ კიდევ გამოთქვამენ თავიანთ მხურვალე სიყვარულსა და მადლიერებას დიადი და უძლეველი საბჭოთა კავშირისადმი.

არლუსის თავმჯდომარე აკადემიკოსი
ჯ. ი. პარხონი.

ბუდაპეშტის საქალაქო საბჭოს საქმიანობა

ბუდაპეშტი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). 20 ოქტომბერს გაიმართა ბუდაპეშტის საქალაქო საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა საბჭოს მუშაობა ოთხი წლის მანძილზე.

მოხსენება გაკეთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კალმან პონგრაცმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოს მთელი საქმიანობის მიზანი იყო დედაქალაქის მეურნეობისა და კულტურის გან

საბჭოთა არმიის მიერ ჩრდილოეთ ნორვეგიის განთავისუფლების 10 წლისთავის გამო

ოსლო, 22 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, იმასთან დაკავშირებთ, რომ 24 ოქტომბერს სრულდება 10 წელი მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ნორვეგიის გუბერნია ფინმარკი, ნორვეგიის მთელ რიგ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში მოეწყობა საზეიმო მიტინგები. გაზეთი „დაგბლადეტი“ იუწყება, რომ ბერლინის კომუნის გამგეობამ საბჭოთა ჯარების მიერ ჩრდილოეთ ნორვეგიის განთავისუფლების 10 წლისთავთან დაკავშირებთ მიიღო გადწყვეტილება გვირგვინით შეამკოს ამ კომუნაში დასაფლავებული საბჭოთა ჯარისკაცის საფლავი.

გაეაქლიერთ ბრძოლა ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი გერმანიისათვის!

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს მიმართვა

ბერლინი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტომ გამოაქვეყნა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობისადმი სახალხო არჩევნებთან დაკავშირებთ.

მიმართვაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ 17 ოქტომბრის არჩევნებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ ერთსულოვნად გამოთქვა თავისი მისწრაფება მშვიდობისადმი, გერმანიის ერთიანობისა და მთელი გერმანელი ხალხის ბედნიერი ცხოვრებისადმი.

მიმართვაში შემდეგ აღნიშნულია რესპუბლიკის მშრომელთა აქტიური მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში, რაც, კერძოდ, გამოიხატა ეროვნული ფრონტის საარჩევნო პროგრამის განხილვით, კრიტიკითა და სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მუშაობის გაუჯობესების წინადადებებით, გადიდებული შრომითი ვალდებულებებით და სხვ.

დასასრულ მიმართვაში ნათქვამია, რომ დემოკრატიული გერმანიის ეროვნულ ფრონტს თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია ხელი შეუწყოს პატრიოტული მოძრაობის გაძლიერებასა და გაფართოებას დასავლეთ გერმანიაში, რათა გერმანიის ორივე ნაწილის დემოკრატიული ძალების საშუალებით შეიქმნას ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი გერმანიის სახელმწიფო.

გერმანიის გათიშვის პოლიტიკის წინააღმდეგ

ბერლინი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის პრესა უკანასკნელ დროს სულ უფრო ხშირად გმობს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის პოლიტიკას, რასაც ბონის მთავრობა ახორციელებს და რაც ხელს უშლის გერმანიის გაერთიანებას.

გაზეთი „ვესტდოიჩე ტაგგბლატი“, რომელიც დორტმუნდში გამოდის, მოწინავე სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანელი ხალხის ინტერესების შესაფერი საგარეო პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს იმას, „რომ გერმანიის გაერთიანება მიჩნეულ იქნას ძირითად პრობლემად“. ლონდონის გადაწყვეტილებანი დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ, წერს გაზეთი, დიდი ხნით შეუძლებელს ხდიან გერმანიის გაერთიანებას.

დასავლეთ გერმანიის მეორე გაზეთი „მიტელბაიერიშე ცაიტუნგი“ აგრეთვე აღაშერებს ლონდონის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ და აცხადებს, რომ ეს გადაწყვეტილებანი ვერასგზით ვერ გამოიწვევენ დასავლეთ გერმანიისათვის სუვერენიტეტის მინიჭებას.

დასავლეთ გერმანიის არმიის აღორძინების გეგმებს მკვეთრად აკრიტიკებს გაზეთი „შტუტგარტერ ცაიტუნგი“.

„ნოიეს დოიჩლანდი“ დღეს ბეჭდავს დასავლეთ გერმანიის გაზეთ „ჰამბურგერ ანცაიგერ უნდ ნახრიხტენის“ ცნობას. იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთ გერმანიის პროფკავშირებმა უარყვეს რემილიტარიზაციის პოლიტიკა, რომელსაც აღენიშვნა ახორციელებს, ეს გაზეთი წერდა, რომ „შეიარაღება (დასავლეთ გერმანიისა. — კორესპონდენტის შენიშვნა) შეუძლებელია, თუ ამის წინააღმდეგ აღაშერებს პროფკავშირთა 6 მილიონი წევრი, რომლებიც თავიანთ ოჯახებთან ერთად შეადგენენ 20 მილიონ კაცს, რაც ფედერალური რესპუბლიკის მოსახლეობის 40 პროცენტს უდრის“.

სირიის კომპარტიის გენერალური მდივანი პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის წევრად აირჩიეს

ბეირუთი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სირიის პრესა იუწყება, პარლამენტის დეპუტატი, სირიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ჰალედ ბაგდაში პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის წევრად აირჩიეს.

პარიზში გაიხსნა ცხრა ქვეყნის წარმომადგენელთა თათბირი

პარიზი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, დღეს შაიოს სასახლეში გაიხსნა ლონდონის თათბირის მონაწილე ცხრა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. როგორც ცნობილია, ლონდონის თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ.

ირანის მეჯლისმა დაამტკიცა შეთანხმება ნავთობის შესახებ

ლონდონი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტმა თეირანიდან გადმოსცა, დღეს ირანის მეჯლისმა 113 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ დაამტკიცა შეთანხმება ნავთობის შესახებ, რომელიც ზაჰედის მთავრობასა და „საერთაშორისო“ კონსორციუმს შორის დაიდო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა გუშინდელ დღის სხდომაზე განაგრძო განიარაღების საკითხის განხილვა.

პირველმა ილაპარაკა ეგვიპტის წარმომადგენელმა რამადანმა. მან თქვა, რომ, მისი აზრით, დისკუსიის დროს გაჩენილნდა მისწრაფება განსახილველ საკითხზე თვალსაზრისთა დაახლოებისადმი, და მოუწოდა დიდ სახელმწიფოებს „გამოიჩინონ შეთანხმების სურვილი“. მან აგრეთვე მოუწოდა მცირე და საშუალო ქვეყნებს თავიანთი წვლილი შეიტანონ შეთანხმების მიღწევის საქმეში.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის უოდსორტის გამოსვლა ასახავდა იმისადმი მისწრაფებას, რომ ცალმხრივ დათმობას მიაღწიონ საბჭოთა კავშირის მხრივ, დაამახინჯონ სსრ კავშირის ნამდვილი პოზიცია განიარაღების საკითხში.

ერაყის წარმომადგენელი ჯემალი, რომელმაც მთლიანად დაუჭირა მხარი დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციას და აზრი გამოთქვა „ზედმეტი ოპტიმიზმის“ წინააღმდეგ, არსებითად იცავდა თეზისს „ძალის დახმარებით“ მშვიდობის შენარჩუნების შესახებ. ამასთან მან გაიმეორა ცილისმწამებლური მტკიცება, თითქოს ცივი ომის განგრძობა გამოწვეული იყოს რაღაც „ძირგამომთხრელი საქმიანობით, რასაც კომუნიზმი ეწევა“.

არგენტინის წარმომადგენელმა განაცხადა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს განსახილველ საკითხს, და მოითხოვა, რომ მიუხედავად იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იქნება ამ სესიაზე გადადგმული ნაბიჯი განიარაღების საკითხში, გენერალურმა ასამბლეამ ისეთი რეზოლუცია უნდა მიიღოს ამ საკითხზე, რომელიც გაუფანტავს კაცობრიობას პესიმიზმის გრძნობას, რაც წარმოშვა ცივმა ომმა და გამალებულმა შეიარაღებამ.

ნიუ-იორკი, 21 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ დღის სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის საკითხზე საერთაშორისო კონვენციის დადების შესახებ წინადადების გამო, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა.

ახალი ზელანდიის წარმომადგენელი მუნრო, რომელიც პირველი გამოვიდა, დაეთანხმა მოითხოვდა მიეღოთ დასავლეთის სახელმწიფოთა თვალსაზრისი, რომ საკონტროლო ორგანოს, რომელიც უნდა შეიქმნას კონვენციის შესრულებისადმი მეთვალყურეობისათვის, მიენიჭოს სანქციების მიღების უფლება. ილაპარაკა რა საკონტროლო ორგანოსა და უშიშროების საბჭოს ურთიერთობაზე, მუნრომ წარმოადგინა, მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაური სისტემა — უშიშროების საბჭომ თავისი რეზოლუციანი, რომლებიც განიარაღების კონვენციის განხორციელებას შეეხებიან, უნდა გადასცეს ამ ორგანოს და უკანასკნელის გადაწყვეტილებანი შეუძლია გაიუქმოს მხოლოდ დიდ სახელმწიფოთა ერთხმოვნობის პრინციპის დაცვით. ერთხმოვნობის პრინციპის ასეთი უკუღმართი გაგება არსებითად საკონტროლო ორგანოს დაიყენებდა უშიშროების საბჭოს ჩარჩოების გარეთ და მიანიჭებდა მას ფართო ასპარეზს ამა თუ იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ სანქციების თვითნებურად მიღებისათვის.

ინგლისის წარმომადგენელმა ლოიდმა თქვა, რომ მას აზრების გაზიარება, რაც პოლიტიკურ კომიტეტში წარმოს, სასარგებლოდ მიანნია. მან განაცხადა, რომ როგორც ინგლის-საფრანგეთის მემორანდუმი, ისე საბჭოთა კავშირის წინადადებანი, განსახილველ საკითხზე, გამოხატავენ მზარეთა მისწრაფებას — დაუთმონ ერთმანეთს. ამასთან ერთად ლოიდმა აღნიშნა, რომ კვლავ რჩება „სერიოზული უთანხმოებანი“, კერძოდ, საკონტროლო ორგანოს ხასიათისა და ფუნქციების საკითხში. იმ სიძნელეებს, რომლებიც შეთანხმებას ეღობებიან, ლოიდმა მიაკუთვნა აგრეთვე საკითხი, თუ რა დონემდე უნდა შეამცირონ შეიარაღებული ძალები. მაგრამ ლოიდმა დაადასტურა, რომ ორივე მხარე მზად არის განაგრძოს არსებულ უთანხმოებათა განხილვა.

განმარტა რა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია საკონტროლო ორგანოს საკითხში, ლოიდმა აღიარა, რომ კონვენციის დამტკიცებისა წინაღმდეგ „საბოლოო სანქციების“ გამოყენების უფლება ეკუთვნის უშიშროების საბჭოს და რომ დასაბუთებული დონისძიებანი შეიძლება მიიღოს მხოლოდ უშიშროების საბჭომ, რომელშიც გამოყენებულია ერთხმოვნობის პრინციპი. მაგრამ ლოიდმა აქვე განაცხადა, რომ საკონტროლო ორგანოს უნდა ეკუთვნოდეს ეგრეთწოდებული „იძულების დონისძიებათა“ მიღების უფლება და რომ შემდგომ მოლაპარაკებაში უნდა დაზუსტდეს განსხვავება ამ ცნებათა შორის. ლოიდმა აგრეთვე აღიარა, რომ კონვენციის დებულებანი, რომლებიც ჯერ კიდევ შესამუშავებელია, უნდა შეესაბამებოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებებს, და ვერ გათვალისწინებენ იმას, რომ უშიშროების საბჭოში დიდ სახელმწიფოთა ერთხმოვნობის პრინციპი გამოყენებულ არ იქნას ამა თუ იმ საკითხში, რომელიც კონვენციიდან გამომდინარეობს. ეს, თქვა ლოიდმა, წესდების საწინააღმდეგო იქნებოდა. ამასთან ერთად ლოიდმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, კონვენციაში იმის აღნიშვნა, რომ საკონტროლო ორგანოს უფლება აქვს მიიღოს „იძულებითი ღონისძიებანი“ ხმის უბრალო უმრავლესობით, წესდების საწინააღმდეგო არ იქნებოდა. ამრიგად, ინგლისის წარმომადგენელი არსებითად კვლავ მოითხოვდა, რომ საკონტროლო ორგანოს მიეცეს განსაკუთრებული რწმუნებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საწინააღმდეგოდ, რომელშიც ნათქვამია, რომ უშიშროების საბჭოს აკისრია მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის.

დასასრულ ლოიდმა მხარი დაუჭირა წინადადებას ამ საკითხის განხილვის განსაგრძობად განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის შექმნის შესახებ.

შემდეგ გამოსულმა პაკისტანის წარმომადგენელმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საბჭოთა წინადადებებს საფუძვლად უდევს ინგლის-საფრანგეთის მემორანდუმი, რაც მოწმობს მხარეთა თვალსაზრისების დაახლოებას. ამასთან ერთად მან მხარი დაუჭირა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციას საკონტროლო ორგანოს ფუნქციებისა და რწმუნებათა საკითხში, თუმცა, როგორც ცნობილია, ეს პოზიცია სრულიადაც არ უწყობს ხელს თვალსაზრისთა დაახლოებას.

ისრაელის სახელმწიფოს წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა კანადის დელეგაციის წინადადებას განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის დაარსების შესახებ. საჭიროა, თქვა მან, გამოირკვეს ის საკითხები, რომლებზეც მიღწეულია თანხმობა და რომლებზეც თანხმობა ჯერ კიდევ მიღწეული არ არის. ყველა ასეთ საკითხზე განიარაღების კომისიამ უნდა მიაღწიოს შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს.

ნიუ-იორკი, 22 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგატმა, რომელიც პირველი გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესიის პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ დღის სხდომაზე, ხაზგასმით აღნიშნა მცირე და საშუალო ქვეყნების პასუხისმგებლობა განიარაღების საკითხის გადაჭრაში.

ბ-ნმა ვიშინსკიმ, განაცხადა მან, ერთ-ერთ თავის გამოსვლაში სწორად აღნიშნა ამ პრობლემის გადაჭრაში არსებული ყველა სიძნელის მიზეზი — ურთიერთნდობის ნაკლებობა, „ცივმა ომმა“ მოსპო ნდობის ატმოსფერო, ურომლისოდაც ძნელია გადაიჭრას განიარაღების პრობლემა. პატარა ქვეყნებს შეუძლიათ შეასრულონ და კიდევაც უნდა შეასრულონ უდიდესი როლი და მთელი ღონისძიებით შეუწყონ ხელი ნდობის ატმოსფეროს აღდგენას.

მექსიკის წარმომადგენელმა რაფაელ დე ლა კოლონამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განიარაღების საკითხი ყველა სხვა იმ საკითხზე მნიშვნელოვანია, რომელიც გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში დგას. იგი მიესალმა საბჭოთა კავშირის ინიციატივას, რომელიც გამოიხატა 30 სექტემბრის წინადადებებით, მაგრამ ამავე დროს მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილ წინადადებას საკონტროლო ორგანოს საკითხში.

შემდეგ გამოვიდა უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაური, უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ფ. პალამარჩუკი.

შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მტკიცებას, თითქოს სსრ კავშირის პოზიცია მთელი იმ დროის მანძილზე, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხს განიხილავდა, „უძრავი“ იყო, პალამარჩუკმა ჩამოთვალა საბჭოთა კავშირის ღონისძიებანი, რომელთა მიზანი მხარეთა თვალსაზრისის დაახლოება ამ საკითხში.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მიმართულებით, თქვა მან, და ეს განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, არის საბჭოთა კავშირის თანხმობა, რომ მომავალ კონვენციას შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის შესახებ საფუძვლად დაედოს ინგლის-საფრანგეთის 1954 წლის 11 ივნისის მემორანდუმის დებულებანი. საერთო საფუძვლისა და საერთო პრინციპების არსებობამ არ შეიძლება გზა არ გაუხსნას შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას.

ცხადია, თქვა დასასრულ უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურმა, უგუნურება იქნება არ დავინახოთ ის სიძნელეები და დაბრკოლებები, რომლებსაც ვხვდებით შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხის გადაჭრაში. მაგრამ სიძნელეები შეიძლება გადაილახოს, თუ, რა თქმა უნდა, არა სიტყვით, არამედ საქმით ერთნაირად ესწრაფვის ამას ყველა სახელმწიფო და განსაკუთრებით დიდი სახელმწიფოები, რომელთა ღონისძიებები, სიმტკიცე და ენერგია განსაკუთრებით საჭიროა შეთანხმების მისაღწევად.

ფინეთის მთავრობის განცხადება

ჰელსინკი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ფინეთის ახალი მთავრობის პირველ სხდომაზე გამოქვეყნდა მთავრობის განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

საგარეო პოლიტიკის დარგში საჭიროა განვავითაროთ ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა ფინეთსა და სხვა სახელმწიფოებს შორის. განსაკუთრებით უნდა განვავითაროთ ურთიერთობა ჩვენს ქვეყანასა და საბჭოთა კავშირს შორის, აგრეთვე ჩვენს დასავლეთელ მეზობელ ქვეყნებთან.

ეკონომიური პოლიტიკის დარგში მთავრობის ძირითადი მისწრაფებაა სრული დასაქმების უზრუნველყოფა და აქტუალური ეკონომიური პრობლემების გადაჭრა. მთავრობის პარტიებს შორის მიღწეულია შეთანხმება იმ პროგრამის დეტალების შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ განხორციელდება.

მთავრობა, რომელიც სეიმის უმრავლესობას ეყრდნობა, მოელის, რომ მის მისწრაფებებს, რომელთა მიზანია ფინეთის ეკონომიკის, სოციალური პირობებისა და კულტურის განვითარება, შეიგნებენ და მხარს დაუჭერენ საზოგადოებრივი წრეები, რომელთაც ესმით თავიანთი პასუხისმგებლობა.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც პრეს ასოშიეიშნის სააგენტო იუწყება, ვაჭრობის ყოფილმა მინისტრმა ლეიბორისტულ მთავრობაში, პარლამენტის წევრმა ჰაროლდ ვილსონმა გუშინ თემთა პალატაში კოლონიების მინისტრს მოსთხოვა, რომ მან გააშუქოს ჰონკონგში ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოს საქმიანობა. ამ საკონსულოს თანამშრომელთა რაოდენობა სულ უფრო მატულობს.

ვილსონმა ჰკითხა: „თანამდებობის პირთა ეს ურიცო ჰონკონგში იმაზე მუშაობს, რომ ხელს უწყობს ამერიკის ვაჭრობას ჩინეთთან, თუ იმაზე, რომ ზღუდავს ინგლისის ვაჭრობას ჩინეთთან?“

ვილსონმა აგრეთვე განაცხადა, რომ ჰონკონგში ამერიკის საკონსულოს მუშაკებს გზავნიან ინგლისელ საქმონსებთან და აფრთხილებენ ამ უკანასკნელთ, რომ თუ ისინი არ შეწყვეტენ ზოგიერთი სახეობის საქონლით ვაჭრობას,... შეტანილ იქნებიან შავ სიაში და მათი დოლარის ანგარიშები ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიყინება. ვილსონმა აგრეთვე თქვა, რომ „ყველა ინგლისელ ვაჭარს ჰონკონგში მიაჩნია, რომ ამერიკის საკონსულოს თანამშრომლები ჰონკონგში იმყოფებიან ერთადერთი მიზნით — ჯაშუშურად აღვენონ თვალყური ინგლისის ვაჭრობას“.

კოლონიების მინისტრმა განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმება ვილსონს.

ხელი მოაწერეს ინგლის-ეგვიპტის შეთანხმებას სუეცის არხის ზონაში ბაზის შესახებ

კაირო, 20 ოქტომბერი. (საკდესი). კაიროში ხელი მოაწერეს ინგლის-ეგვიპტის შეთანხმების სუეცის არხის ზონაში სამხედრო ბაზის შესახებ.

შეთანხმება შეიცავს 13 მუხლს, ორ დამატებასა და 17 წერილს, რომლებიც ერთმანეთს გაუგზავნეს დელეგაციებმა.

შეთანხმება ითვალისწინებს ინგლისის შეიარაღებული ძალების სრულ ევაკუაციას ეგვიპტიდან შეთანხმების ხელმოწერის დღიდან 20 თვის განმავლობაში.

როგორც შეთანხმების მე-2 მუხლშია ნათქვამი, ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ შეწყვეტილია ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულების მოქმედება. რაც შეეხება ეგვიპტეს, ეგვიპტის პარლამენტმა, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1951 წლის ოქტომბერში მოახდინა ამ ხელშეკრულების დენონსაცია. მაგრამ, თუმცა გამოცხადებულია ეგვიპტიდან ინგლისის ჯარების მომავალი გაყვანა, შეთანხმება ითვალისწინებს, რომ „ბაზის განსაზღვრული ნაწილები სუეცის არხის ზონაში“ დარჩება მოქმედ მდგომარეობაში, რათა ბაზა დაუყოვნებლივ გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევებში, რომლებიც სპეციალურად მოხსენიებულია შეთანხმების მე-4 მუხლში.

ამ მუხლში ნათქვამია, რომ ინგლისის ჯარებს უფლება აქვთ დაბრუნდნენ ბაზაში ლიგის წევრ არაბთა ქვეყნებზე ან თურქეთზე ყოველი სახელმწიფოს „შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში“. (სამხსოური ბარათში ნათქვამია, რომ „ყოველ სახელმწიფოდ“ იგულისხმება ყოველი ქვეყანა, გარდა მოხსენიებული არაბთა ქვეყნებისა და თურქეთისა, აგრეთვე ისრაელისა).

შეთანხმება ითვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისის ჯარები დაბრუნდებიან არხის ზონის ბაზაში, ინგლისს უფლება ექნება თავისი ფლოტისათვის გამოიყენოს ეგვიპტის ნავსადგურები.

ეგვიპტის მთავრობამ ვალდებულება იკისრა ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებს მიანიჭოს ეგვიპტის ტერიტორიაზე ფრენის, აეროდრომებზე დაშვების უფლება და იმის უფლება, რომ ისარგებლონ მომსახურებით იმ პირობით, თუ ეს წინასწარ ეცოდინებათ ეგვიპტის ხელისუფლებს.

შეთანხმება დადებულია 7 წლის ვადით.

შეთანხმების პირველ დამატებაში აღნიშნულია ინგლისის ჯარების გაყვანის წესი.

მეორე დამატებაში აღნიშნულია ის ღონისძიებანი, რომლებიც მიღებული იქნება იმისათვის, რომ ბაზა მოქმედ მდგომარეობაში დარჩეს ინგლისის ჯარების გაყვანის შემდეგ.

ორივე მხარე შეთანხმდა ერთმანეთისადმი ფინანსურ მოთხოვნებზე უარისთქმის შესახებ.

„აღუბლის ბაღი“ საფრანგეთის თეატრის სცენაზე

პარიზი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). საფრანგეთის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა დიდი რუსი მწერლის ა. პ. ჩეხოვის პიესის „ალუბლის ბაღის“ დადგმას პარიზის ერთ-ერთი უდიდესი თეატრის — მარინიის თეატრის სცენაზე.

ამ მოვლენას პარიზის თითქმის ყველა გაზეთი გამოეხმაურა. ხაზგასმით აღნიშნავენ რა დიდი რუსი მწერლის ჰუმანიზმს, გაზეთები ფრენენ იმ დიდი ინტერესის შესახებ, რომელსაც იჩენენ მისი შემოქმედებისადმი ფრანგი მკითხველები და მაყურებლები.

„ლამაზი სპექტაკლია, — წერს გაზეთი „მონდი“, — ლამაზი თავისი სიმართლითა და სისადავით“. „სტანისლავსკის მიერ 50 წლის წინათ დადგმული „ალუბლის ბაღი“, — წერს გაზეთი „ლიბერასიონი“, — ამჟამადაც ჰყავს ვარ. მას არ დაუკარგავს თავისი სიახლე და ყველა საღებავს შენარჩუნებული აქვს თავისი წინანდელი კოლორიტი“.

პიესა „ალუბლის ბაღის“ დადგმაში მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის გამოჩენილმა მსახიობებმა, მათ შორის მადლენა რენომ და ჟანლუი ბარომ.

მოსკოვის „დინამოს“ შეხვედრა „ქირონდის“ ფეხბურთელებთან

პარიზი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ქალაქ ბორდოში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელები და „ჟირონდის“ გუნდის ფრანგი ფეხბურთელები. გამარჯვება მოიპოვა მოსკოვის „დინამომ“ ანგარიშით 3:0.

ამ დღეებში საბჭოთა ფეხბურთელები გაემგზავრებიან მარსელს, სადაც შეხვდებიან ქალაქ ლილის ფეხბურთელთა გუნდს.

თბილისი

ქალაქის ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. ლენინის ქუჩა. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ახალი ქართული ფილმები

ამჟამად თბილისის კინოსტუდიის „ქართული ფილმის“ პავილიონებში დიდი მუშაობა წარმოებს ახალი მხატვრული და დოკუმენტალური ფერადი ფილმების შესაქმნელად.

მიმდინარეობს გადაღება სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფერადი ფილმისა „ისინი მთებიდან ბრუნდებიან“. ფილმი ასახავს ქართველი მეტალურგების კადრების მომზადებას, დიდ რუს ხალხთან ქართველი ხალხის ურღვევ მეგობრობას. ფილმს დგამს კინორეჟისორი ნ. სანიშვილი, ოპერატორია მ. ფელდმანი, მხატვარი რ. მირზაშვილი, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ა. ბალანჩივაძემ. მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები ლ. აბაშიძე, ე. მაღალაშვილი, ნ. ალხაზიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი გ. შავგულიძე და სხვები.

ფილმის „ისინი მთებიდან ბრუნდებიან“ ნატურალური გადაღება წარმოებდა ორჯონიკიძისა და დუშეთის რაიონებში, სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, რიწყის ტბის მიდამოებში. მალე სურათის შემოქმედებითი კოლექტივი საზამთრო პეიზაჟების გადასაღებად გაემგზავრება მოსკოვში.

გადაღების პროცესშია მხატვრული დოკუმენტალური ფერადი ფილმი „ქართული ბალეტის ოსტატები“. ფილმის რეჟისორები არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ჭაბუკიანი და შ. მანგაძე, ოპერატორი — ფ. ვისოცკი.

ახალი სრულმეტრაჟიანი ფერადი ფილმი „ჯადოსნური სალამური“ შექმნილია ქართული ზღაპრების მოტივებზე. სცენარის ავტორი და სურათის დამდგმელია კ. მიქაბერიძე, კომპოზიტორი რ. ლაღიძე, მხატვრები მ. გოცირიძე, ე. ახვლედიანი, მ. სეხნიაშვილი, ოპერატორები დ. კანდელაკი და მ. კარიუკოვი. როლებს ასრულებენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ანჯაფარიძე, მსახიობები თ. ტოგონიძე, გ. მუჯირი და სხვები.

ამჟამად ფილმის ნატურალური გადაღება წარმოებს ბორჯომში.

წარმოების პროცესშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული საბავშვო ფილმი „მაგდანის ლურჯა“, რომელსაც დგამენ ახალგაზრდა რეჟისორები თ. აბულაძე და რ. ჩხეიძე.

მალე თბილისის ეკრანებზე გამოვა შემდეგი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტალური ფილმები: „ალაზნის ველი“, რეჟისორი შ. ჩაგუნავა, ოპერატორი ა. სიმონოვი; „მოწინავეთა გამოცდილების სკოლა“ — რეჟისორი ი. კანდელაკი, ოპერატორი გ. ასათიანი; „პამირის მწვერვალებზე“—ოპერატორები ო. დეკანოსიძე, მ. კრეპი.

გაიხსნა კამერული კონცერტების სეზონი

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გახსნა კამერული კონცერტების საზამთრო სეზონი.

სეზონი გაიხსნა სიმებიანი კვარტეტების საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის — სტალინური პრემიის ლაურეატების, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ბ. ჭიაურელის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების გ. ბატიაშვილის, ა. ბეგალიშვილის და გ. ბარნაბიშვილის კონცერტით.

კვარტეტმა შეასრულა ტანეევის № 2 და ს. ცინცაძის № 3 კვარტეტები, აგრეთვე ს. ციხაძის რამდენიმე მინიატურა.

მომდინარე სეზონში, გარდა ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო ძალებისა, კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ საგასტროლოდ მოწვეულნი — მუსიკის შემსრულებელთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი ს. როშალი (ვიოლინო), სტალინური პრემიის ლაურეატი ტ. ნიკოლაევა (როიალი), საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები მ. კოზოლუპოვა (ვიოლინო), გ. აქსელროდი (როიალი), მ. ვაიმანი (ვიოლინო), პროფესორი მ. იუდინა (როიალი), დირიჟორი პროფესორი ლ. გინზბურგი და. სხვები.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ 3.000 კვადრატული მეტრი ფართობი გამოეყო წყნეთში თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკას 100-ადგილიანი საბავშვო აგარაკისათვის.

⊙ თბილისის, მარნეულისა და სტალინირის ავეჯის ფაბრიკები წელს გამოუშვებენ 400 ათასი მანეთის სხვადასხვა საბავშვო ავეჯს — მაგიდებს, სკამებს და სხვ.

⊙ თბილისის თევზის ქარხანამ დაიწყო ხრამის წყალსაცავის ექსპლოატაცია. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ქარხნის მოწინავე ადამიანის ორდენოსან ბ. ძემის ბრიგადამ დაიჭირა 200-ზე მეტი ცენტნერი კობრი. თევზჭერა გრძელდება.

⊙ თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკა ბეჭდავს მსოფლიოს მრავალფერად პოლიტიკურ რუკას 600.000 ცალი ტირაჟით.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაციკიძე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს
მეორე ციკლი
რსფსრ დამსახურებული არტისტის
იური დუროვისა
განახლებული პროგრამით
დიდი საცირკო წარმოდგენა
3 განყოფილებად
საბჭოთა ცირკის წამყვანი ოსტატების
მონაწილეობით

კვირაობით დღის 2 საბავშვო წარმოდგენა
საღამოს წარმოდგენების დასაწყისი
8 ს. და 30 წ.,
დღის — 12 ს. და 3 საათზე.
ბილეთების წინასწარ შეძენა შეიძლება
სახცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები
კოლექტიურ დასწრებაზე.

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის — ჰიტი, **მარჯანიშვილის სახელობის** — დაბრუნება, **გრიბოედოვის სახელობის** — ერთი სიყვარულის ისტორია, **სომხური დრამის** — მშობლიური ქვეყანა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — მაშენკა (ბონერმენტი № 27, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ღალატი (7 ს. და 30 წ.), **მუსიკალური კომედიის** — ორი რეკორდი.

მოქალაქე **ბორის არჩილის-ძე გულისაშვილმა**, მცხოვრებმა ანაგის ქ. № 18, აღძრა საქმე კლარა ცეტკინის ქ. № 77 მცხოვრებ მოქალაქე **ელენე ვლადიმერის ას